პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 11 ნოემბერი, 1947 წ. № 225 (8089). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ახალი ძალებით, ახალი ენერგიით — კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად!—„პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს (1-ლი გვერდი).
ქართველი მწერლების მიმართვა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-2 გვერდი).
მისალმებანი ამხანაგ ი. ბ. სტალინს (მე-3 გვერდი).
ვ. ბურჯანაძე — სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ამოცანები საარჩევნო კამპანიაში (მე-3 გვერდი).
გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ახალი ძალებით, ახალი ენერგიით—კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად!

უდიდესი პოლიტიკური აღფრთოვანებით მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის დღესასწაული. ეს დღესასწაული ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის, ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო ჩვენი ხალხის მჭიდრო დარაზმულობის, თავისი დიდი ბელადისა და მასწავლებლის, სოციალიზმის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი სსრ კავშირის ყველა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მიერ მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში შეჯამებულია იმ ისტორიულ გამარჯვებათა შედეგები, რომლებიც ჩვენმა საბჭოთა სამშობლომ მოიპოვა ლენინის დროშით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით.

ოქტომბრის რევოლუციის უმნიშვნელოვანესი შედეგი, მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარი არის ადამიანების, როგორც საბჭოთა პატრიოტების, ახალი სულიერი სახე და იდეური ზრდა. ეს ახალი სულიერი სახე, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება საბჭოთა ადამიანების შეგნებული დამოკიდებულებით თავისი შრომისადმი, როგორც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი, როგორც სოციალისტური სამშობლოს წინაშე წმიდა მოვალეობისადმი.

საბჭოთა ხალხმა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმა მიიღო, როგორც თავისი მშობლიური და სასიცოცხლო საქმე, და ამ გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის არ იშურებს არც ძალებს, არც შრომას. ეს გასაგები და ბუნებრივია, რადგან ხუთწლედი შეესაბამება ჩვენი ხალხის ძირითად სასიცოცხლო ინტერესებს. პარტიის მიერ დასახულმა, ამხანაგ სტალინის მიერ დასახულმა ამოცანებმა ახალ-ახალი გმირული ღონისძიებისა და თავდადებული შრომისათვის აღაფრთოვანეს ხალხი. ეს ამოცანებია—აღვადგინოთ ომისა და გერმანული ოკუპაციის შედეგად დაზარალებული რაიონები, მივაღწიოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელ დონეს და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით. კიდევ უფრო გრანდიოზულ პერსპექტივებს უსახავენ საბჭოთა ხალხს შემდგომი ხუთწლედები, რომლებმაც, როგორც ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, ჩვენს სამშობლოს უნდა მოუტანოს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, ომამდელთან შედარებით ჩვენი მრეწველობის დონის ერთისამად გადიდება.

ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებით საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო დაინტერესებამ თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების დღემდე არნახული მასშტაბით. „შეჯიბრების ფართო გაქანება და შინაარსი განსაზღვრავენ ახლა ყველგან საბჭოთა ადამიანებს შორის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დონეს" (ვ. მ. მოლოტოვი).

სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც გამსჭვალულია საბჭოთა ხალხის პატრიოტული ზრუნვით სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, უკვე მოგვიტანა და ყოველდღე მოაქვს ახალ-ახალი გამარჯვება სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში. ამ დარგში ორი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება გვაცნობა, საბჭოთა ხალხის დიდად სასიხარულოდ და საამაყოდ, ამხანაგმა მოლოტოვმა თავის მოხსენებაში ოქტომბრის 30-ე წლისთავის შესახებ: ჩვენი მრეწველობის პროდუქციის გამოშვებამ 1947 წლის ოქტომბერში უკვე მიაღწია ომამდელ დონეს; მიუხედავად იმისა, რომ ომისა და ოკუპაციის შედეგად ნათესი ფართობის ოდენობა და სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა ჯერ კიდევ ომამდელზე ნაკლებია, ჩვენი სახელმწიფო წელს დაახლოებით იმდენსავე პურს მიიღებს, რამდენსაც საუკეთესო ომამდელ წლებში იღებდა.

რას მოწმობს ეს ფაქტები? ჯერ-ერთი, იმას, რომ საბჭოთა კავშირი უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განუწყვეტელი წინსვლისა და განვითარების სრულ შესაძლებლობას. მეორე, იმას, რომ საბჭოთა ადამიანების სულ უფრო მზარდი იდეური დონე, და სოციალისტური შეგნება, რამაც გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა პატრიოტიზმის ახლანდელ აღმავლობაში, აჩქარებს ჩვენი სამშობლოს წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას.

მთელ ჩვენს ქვეყანას უხაროდა, რომ ჩვენი გმირი ქალაქი ლენინგრადი, რომელსაც ხალხი სიყვარულით უწოდებს ოქტომბრის რევოლუციის აკვანს, ამჯერადაც პირველ რიგებში დგას, რომ ლენინგრადის მრეწველობამ ოქტომბერშივე გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის მეორე წლის გეგმა.

მთელ ჩვენს ქვეყანას ახარებს შესანიშნავი წარმატებანი, რომლებიც ჩვენი სახელოვანი დედაქალაქის მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს ოქტომბრის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად. ამ წარმატებათა შესახებ ნათქვამია ამხანაგ სტალინისადმი მისალმებაში, რომელიც ერთსულოვნად იქნა მიღებული მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1947 წლის 6 ნოემბერს. „მოხარული ვართ გაცნობოთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, — სწერენ მოსკოველები პარტიისა და ხალხის დიდ ბელადს, — რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეათე წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობამ შეასრულა თერთმეტი თვის პროგრამა, ხოლო 1.200 საწარმომ ვადამდე 7 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა". ამჟამად ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, კისრულობენ ახალ, კიდევ უფრო დიდ ვალდებულებებს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში. მოსკოველები, ისევე როგორც ლენინგრადელები, ხუთწლედის ავანგარდში არიან, გვიჩვენებენ ამ ხუთწლედის ვადამდე წარმატებით განხორციელებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის მაგალითს.

ამჟამად ყველა პარტიული ორგანიზაციის ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო ძლიერ გააჩაღონ საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, უფრო ფართოდ განავითარონ საბჭოთა ადამიანების პატრიოტული ინიციატივა, უკეთესად გამოავლინონ და ხუთწლედის სამსახურში ჩააყენონ ახალ-ახალი შინარეზერვები, რომლებიც მოიპოვება ჩვენს გეგმიან სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში.

ამხ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მოსკოვში, ლენინგრადში, დონბასში, მთელ ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ვითარდება მოძრაობა, რაც იმით გამოიხატება, რომ ცალკეული მუშები პირადს ვალდებულებებს კისრულობენ წლიური გეგმების და მთლიანად ხუთწლედის ამოცანების ვადამდე შესასრულებლად. ეს ახალი მოვლენაა ჩვენს საბჭოთა ცხოვრებაში. ომამდე ეს არ ყოფილა. ეს ახალი მოვლენა მოწმობს მუშების სოციალისტური შეგნების ზრდას და შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. შრომის ნაყოფიერება კი, როგორც ლენინი აღნიშნავდა, „საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი რამ არის ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის". ამიტომ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის მოწინავენი ახალი, ყველაზე დიადი და სრულყოფილი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის — კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის მოწინავენი არიან.

უფრო ფართოდ, უფრო ძლიერ უნდა გავაჩაღოთ კომუნიზმისათვის მოწინავე მებრძოლთა ახალი მოძრაობა, რომელიც მოსკოვში, ლენინგრადსა და დონბასში ჩაისახა, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული მუშა ისწრაფოდეს ვადამდე შეასრულოს წლიური გეგმები და მთლიანად ხუთწლედი, ამ დიად მიზანს მოახმაროს მთელი თავისი ძალა, გამოცდილება და უნარი.

ამხ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ ჩვენ უკვე ამჟამად მეტ ქვანახშირს ვიღებთ, ვიდრე ომამდე, და აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს მეტალურგიის აღდგენა და გადიდდეს ნავთის მოპოვება. სამშობლო ახალ-ახალ წარმატებას მოელის ჩვენი მშენებლების, მეტალურგებისა და ნავთის მუშაკებისაგან. სამშობლო ახალ-ახალ წარმატებას მოელის მრეწველობის ყველა დარგის მუშაკთაგან, მათ შორის იმ დარგების მუშაკთაგანაც, რომლებიც ფართო მოხმარების საქონელს და კვების პროდუქტებს ამზადებენ. სამშობლო ახალ-ახალ წარმატებას მოელის ჩვენი კოლმეურნეებისაგან, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისაგან, პურის ჩაბარების გეგმის ვადამდე დამთავრებისათვის, მომავალი წლის კიდევ უფრო უხვი მოსავლის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

ჩვენ მოგვეპოვება ყველა ობიექტური შესაძლებლობა ამ საარსებო სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. ეს არის საბჭოთა სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობა. ეს არის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვა მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი პატრიოტული აღფრთოვანება, ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა.

ობიექტურ შესაძლებლობათა წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა განუწყვეტლივ გავაძლიეროთ მუშაობა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, შრომისადმი შეგნებული, ნამდვილად სოციალისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. ამ ამოცანას თვითეული პარტიული ორგანიზაციის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. იგი მთავარი და გადამწყვეტი ამოცანაა. რაც უფრო ენერგიულად და მოფიქრებულად იმუშავებენ პარტიული ორგანიზაციები ამ დარგში, მით უფრო მალე დავძლევთ ომით წარმოშობილ სიძნელეებს, მით უფრო მალე განვითარდება სახალხო მეურნეობის საქმე, კომუნიზმის მშენებლობის საქმე.

ოქტომბრის 30-ე წლისთავის დღესასწაულმა ახალი პოლიტიკური აღფრთოვანება გამოიწვია მთელ ჩვენს ქვეყანაში. ამჟამად კიდევ უფრო ენერგიულად, უფრო თავდადებულად უნდა შევუდგეთ მუშაობას, რათა მთლიანად სახალხო მეურნეობამ და თვითეულმა დიდმა თუ მცირე საწარმომ ღირსეულად დაამთავროს ხუთწლედის მეორე წლის გეგმა და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს კიდევ უფრო ძლიერ ტემპს ხუთწლედის მესამე წელში.

დიდი სტალინი აღაფრთოვანებს ჩვენი ხალხის თავდადებულ შრომას, წარმართავს მის ღონისძიებას, მის პატრიოტულ ინიციატივას, უჩვენებს განვითარების პერსპექტივებს, მიჰყავს იგი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, მიჰყავს კომუნიზმის სახელოვანი გზით.

„პრავდის" 9/XI მოწინავე

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ღირსშესანიშნავ ოცდამეათე წლისთავზე ჩვენ, ძველი ბოლშევიკები, მოგმართავთ თქვენ, ვისი სახელიც განასახიერებს რუსეთის რევოლუციას, სიყვარულისა და მადლობის სიტყვებით ყოველივე იმ დიადისათვის, რაც თქვენ ჩვენს პარტიას, მუშათა კლასს და ჩვენი ქვეყნის ხალხებს მიეცით.

დიდ ლენინთან ერთად თქვენ მეფის რუსეთში არალეგალური მუშაობის მძიმე წლებში იდეური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები ჩაუყარეთ ბოლშევიკურ პარტიას.

მუშათა კლასის საქმისადმი თქვენმა თავდადებულმა სამსახურმა, საზოგადოების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი განუხრელმა ერთგულებამ, ამ მოძღვრების შემოქმედებითმა გამოყენებამ და განგრძობამ XX საუკუნის ახალ პირობებში ბოლშევიკური პარტია იქამდე მიიყვანა, რომ ამჟამად იგი წარმოადგენს უძლეველ ძალას, რომელიც მსოფლიოში პირველს მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს ხელმძღვანელობს.

30 წლის წინათ თქვენ ლენინთან ერთად ბოლშევიკების პარტიის სათავეში გაუძეხით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს კაპიტალიზმზე იერიშის მისატანად.

თქვენი სამხედრო ხელმძღვანელობით სამოქალაქო ომის მძიმე წლებში მუშათა კლასმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, გაანადგურა შინაური კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტ ინტერვენტთა მრავალრიცხოვანი არმიები.

ლენინთან ერთად თქვენ შემდეგ გაუძეხით რუსეთის განთავისუფლებულ ხალხებს საუკუნეობრივი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის დასაძლევად. ლენინის გარდაცვალების შემდეგ თქვენ იკისრეთ სოციალისტური მშენებლობის უცნობ გზაზე ხელმძღვანელობის მთელი სიმძიმე და წაიყვანეთ მუშები და გლეხები დიადი სახალხო-სამეურნეო ხუთწლედების განსახორციელებლად, რომლებსაც ხალხში სამართლიანად ეწოდა თქვენი სახელი.

სტალინურმა ხუთწლედებმა შექმნეს მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია და მოწინავე საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობა.

ჩვენს მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოში ხალხთა ძმური მეგობრობა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა დიად, უძლეველ ძალას წარმოადგენს. სტალინური კონსტიტუციით ახალი ხანა დაიწყო ადამიანთა საზოგადოების ორგანიზაციაში.

ჩვენი პარტია და პირადად თქვენ, ამხანაგო სტალინ, დაუღალავ მზრუნველობას იჩენდით სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და შეიარაღებული ძალების საბრძოლო სრულყოფისათვის.

თქვენი ბოლშევიკური სიფხიზლის მეოხებით ჩვენი ქვეყანა დროზე განთავისუფლდა „მეხუთე კოლონის" საფრთხისაგან და ცეცხლითა და მახვილით საშინელმა გამოცდამ, რაც საბჭოთა ქვეყანას თავს დაატყდა 1941 წელს, მას მოუმზადებელს არ მოუსწრო.

თქვენმა სამხედრო და პოლიტიკურმა გენიამ ჩაფუშა მსოფლიო ბატონობის ფაშისტური განზრახვა, და საბჭოთა ხალხი ოქტომბრის 30 წლისთავს შეხვდა ახალი დემოკრატიების მეგობრული ოჯახითა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა სიმპათიით გარემოსილი.

ხალხის მიერ შექმნილმა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო წყობილებამ თქვენი, ამხანაგო სტალინ, ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში.

მხოლოდ ბოლშევიკების პარტიას, რომელიც ოდესღაც მცირე მარქსისტული წრეებისა და ჯგუფებისაგან შესდგებოდა და ახლა გადაიქცა დიდ პარტიად, რომელიც მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს ხელმძღვანელობს, შეეძლო შეესრულებინა ეს მსოფლიო-ისტორიული ამოცანა.

ყველა ეს გამარჯვება შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ლენინმა და თქვენ ყოველმხრივ და ღრმად განავითარეთ მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური თეორია, რომელმაც ახალ ისტორიულ პირობებში თავისი ყოვლისმძლე ძალა დაამტკიცა.

ჩვენ, ძველი ბოლშევიკები, დიადი გამარჯვებებითა და ბოლშევიზმის იდეების სრული ზეიმით აღფრთოვანებულნი, მთელ ჩვენს პარტიასთან ერთად კვლავაც მთელ ჩვენს ძალღონეს, გამოცდილებას და ცოდნას მოვახმართ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეს.

მხურვალედ გისურვებთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მრავალ, მრავალ წელს ჯანმრთელობას.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას!

დიდება ჩვენს დიად სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ლენინ-სტალინის პარტიას!

დიდება თქვენ, ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო და მეგობარო, ბოლშევიკური პარტიის, გმირი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის დიდო ბელადო!

მ. მურანოვი, ნ. ლიტვინოვი, მ. პასტუხოვი, პ. სუდაკოვი, პ. ვიშნიაკოვა, ე. ნ. ვასილიევი, ი. კოროტკოვი, პ. ნიკიფოროვი, მ. კოკოვიხინი, რადუს-ზენკოვიჩი, ვ. ბონჩ-ბრუევიჩი, ო. ვარენცოვა, ნ. სემაშკო, ლ. სკორნიაკოვი, ს. გოპნერი, პ. ვოევოდინი, პ. სახაროვა, ფ. სამოილოვი, გ. პეტროვსკი, ა. კოლონტაი, ც. ზელიქსონ-ბობროვსკაია, გ. კრჟიჟანოვსკი, ს. ნოვოსელოვი, ვ. ანტონოვ-სარატოვსკი, ვ. შვეიცერი, ე. სტასოვა, ბ. ვოლინი, ე. კადომცევი, იკრიანისტოვა-ტრუბა, მაკარი, ქ. დირიკი, ე. ლ. ხერგეევა-არტემი, ი. მიხაილოვი, პ. ლებედევი, გ. კრამოლნიკოვი, პ. კამერონი, ს. კომისაროვი, ვ. სოკოლოვი, ფ. სირომოლოტოვი, გ. პეტროვი, პ. ლებედევ-პოლიანსკი, ვ. ლებედევა, მარიამ კაგანოვიჩი, ე. ვოროშილოვა, მ. ვეტოშკინი, ნ. ჟიდელევი, პრივოროტსკი, ა. კარპოვა, ნ. ილინი, ტ. კრივოვი, ქ. შვედჩიკოვი, ს. ფილერი, ა. იურიევი, ს. ძერჟინსკაია, მ. კოსტელოვსკაია, ე. შკირიატოვა, ე. რაზმიროვიჩი, ზ. კრჟიჟანოვსკაია, ა. ვლადიმირსკი, მ. კოტომკინი, ს. მალაშკინი, ლ. რუბინშტეინი, ს. შვარცი, პ. რეშეტკო, ა. ი. ბერდნიკოვი, პ. ს. ზასლავსკი, ა. კურსკაია, ნ. პოდვოისკაია, ნ. პოდვოისკი, ლ. მარტენსი, ვ. ჯაფარიძე, ლ. დირიკი, ფ. სალკოვსკაია, მ. დ. გორჩაევი, შვარც-ტრუბინა, ვ. მ. კორნეევა, ვ. კოსიოროტოვი, პ. ტიუკოვი, ა. ბელენკაია, ო. ბ. ლეპეშინსკაია, ე. ი. ბელენკი, ა. საველიევა, ა. ი. ეგლიტი, ლ. პ. პინდრიკი, ო. ს. ვეილანდი, ა. ვოლკოვი, მ. ლებედევი, ი. ა. ბოგდანოვი, ნ. მ. ოსმოვი, ს. მ. ბალაბნინი, ნ. რასტოპჩინი, მოვშოვიჩი, მედნე, ნ. გონჩაროვი, პისარევი, ნ. ა. რუზერ-ნიროვა, მ. სკრიპნიკი, ნ. გუსევი, ი. ი. იაკოვლევ-სიბირიაკი, ი. ფლეროვსკი, ვ. შესტოვი, ს. ხავკინი, ვ. პ. ვოზნესენსკი, ე. კინგისეპი, ბ. ივანოვი, ა. ლოზოვსკი, ა. იაკუბოვა, ს. ურალოვი, პ. პ. რუბენი, მ. რუბენი, ე. იატნეკი, ე. ი. მედნე, ე. მ. პრივოროტსკაია, ვ. შუნიაკოვი, პ. მურზინი, ბ. მარხლევსკაია, ი. ბრანდერბურგსკი, ა. სამოხვალოვი, ვ. კარპინსკი, ვ. სტეპანოვი, ა. კოპიატკევიჩი, პ. სტიაგკინა, ე. ლეიტმანი, ი. კურაში, კუდრიაშევი, ქ. სვერდლოვა, ო. ნოგინა, კანცელოვიჩი, ვ. გაიკაზოვა, ქ. სავჩენკო, ა. პომერანცევა, ქ. ი. ლიაპიდევსკი, ფ. ბლაგონრავოვი, ა. ე. ბოიმენბლიტი, ვ. ბულეევა, ე. რუმბა, ვ. არტიშევსკი, ვ. ურასოვი, ნ. სოკოლოვი, ფ. დრაბკინა, ლ. ლიუდვინსკაია, ო. ოზოლნეკი, ნ. დუგაჩევი, მ. ბუიკო, გ. დრონინი, პ. შეინა, დ. სოლომენცევი, ი. ტესმენევი, ი. პერევოზნიკოვა, ს. პოზნერი, მ. ა. რიმალოვა, ი. ა. სავინი, ნ. ე. ლიახინი, მ. უშაცკაია, ბ. ი. სოკოლი, ნ. ი. დერიბასი, ი. ქ. სმირნოვი, ი. ტ. იახნოვსკი, ს. ივანოვი, ა. ბელენეცი, ქ. მ. ნოვიკოვი, ი. გ. კორობოჩკინი, ლ. ფ. ტივინი, მ. ი. ბუბლეევი, პ. ა. ბატალინი, ნ. ქ. ლეპა, რ. ა. ფელდმანი, ვ. ნ კარავაევი, ა. ჩერნავინა-სადინა, ს. ტეტინი, ს. მარკოვი, ა. კიტაშოვი, ე. ლერნერი, პ. ბაპიჩი, ი. კენძერსკი, ა. კორმევა-პორტნოვა, ლ. ტრაბუნი, ა. ვიკსეა, ვ. უშაცკი, ა. სიდოვ-ნევოლინი, ფედულოვი, მ. ვ. ზუბკოვა, რეზნიკოვი, ნ. ა. კუზნეცოვი, ქ. გ. მიასკოვი, ე. დ. პოლოსიანცი, ი. ი. ჩერნიშევი, მაკაროვი, ე. რუდნევი, ნ. კუჩმენკო, ი. ი. სტავსკი, ნ. პ. ჩუდოვსკი, ნ. დოლბილკინი, ნ. დერბიშევი, ნ. ალექსეევი, მ. პ. კაიმინი, რ. ვ. ობოლენსკაია, ა. ნ. გოლუბი, ა. სტურუა, ა. ჩერეპანოვი, ჩუდოვსკაია, ლ. კამენსკაია, რ. ა. სკოვნო, ა. ნ. სოკოლოვი, რ. ბეილისი, ფ. კრიუკოვი, ბ. ი. მოისეევი, პ. პ. რუბენი, ე. რუბენი, ა. სამსონოვი, ნუსბაუმი, პერშინი, ა. ი. ჩემბარევა, ნ. ს. ოგანესოვი, დ. ციპკინა-ბატურინა, მარინინ-ბოიკოვი, პინუსი, ტ. სკორიკოვი, ცეილინა, ა. ბოლშუნოვი, ვ. ბრონშტეინი, ვ. სოკოლოვა, ზელიკოვიჩი, ა. ა. ფედოროვი, მ. ნ. იამპოლსკაია, ბურდიკინი, ე. მ. ისაევა, გ. პ. ოვჩინკინი, ტ. ქ. ჩუგუნოვი, გ. რუბენსკი, ფ. ტ. მურავლიოვი, ს. ი. გლუხოვი, ა. ტელეჩკინა, ბალაგუროვი, ბიტიუკი, ლოტოვა, ს. სტანდეცკი, ე. ტეტინა, ა. მირონოვი, შჩუკინა, ა. პლოტნიკოვი, ლ. ტეტინა, ს. ზასლავსკი, ვ. ლუქსემბურგი, ლეპინი, რაზოვსკაია, ა. მ. ბონდარენკო, ა. ს. კოჟევნიკოვი, პ. მ. აფანასენკო, მ. პ. ვილიუმსონი, ა. ი. ხანკინი, ვ. ა. ტიმკინი, ლ. რუზერი, ნ. ე. აკიმოვი, ი. ი. ტუშნოვი, პ. გორბაჩევი, ე. ა. ვოლკინდი, ფ. ა. გორშკოვი, მ. ს. ნოვოვი, მ. ა. ეგლიტი, ა. მ იონოვი, პ. ლაიზანი, მ. ლებედევი, პ. ზახაროვი, ვ. ი. ფროლოვი, ა. ქელვისი, რ. ი. ხაბახი, ა. მ. მარცინოვსკი, ი. ლებედევი, ი. ივანოვი, ნ. შევკოვი, ე. ალექსეევა, ე. ი. ანდრეევა, ე. გ. შენბერგი, ვ. მ. ანუფრიევი, ე. რ. ლევიტასი, გ. პ. ბაკლაევი, ს. ი. ზინოვიევი, ქ. ა. ვესელოვი, ბ. ნ. ნიმვიცკი, ი. ა. ტროიანოვსკი, ო. ვ. სპანდარიანი, ა. ს. სირომიატნიკოვი, ე. ი. სემიონოვა, ი. მ. მუმინი, ი. გ. კამკოვი, ზ. ლ. სერდიუკოვსკაია, ა. ი. ბუგროვა, ზ. მ. კასატკინა, მ. ქ. ბუბნოვა, ტ. ტ. ტუტერი, ვ. ა. საპოჟნიკოვა, ვ. მოლოდკოვიჩი, პ. ბერცე, ზ. კრავჩენკო, ივანოვი, ე. ფ. ლინკოვი, ვ. ლებედევი, ვ. კეფალიდი, ე. რისკინა, ი. ვიშნიაკი, ვ. არხანგელსკი, ა. ეფიმოვი, ავერიანოვი, გ. ანდრეევი, მ. მაშკევიჩი, დ. ფედოროვი, ი. სიდოროვი, გ. რომანოვი, ი. მატიუშინი, არუშანოვი, პ. პ. ლებედევი, გ. ს. ივკინი, ი. ე. ბელიავსკი, ვ. ა. ემელიანოვი, ი. ვ. ფაინშტეინი, დ. ა. უგლევი, ტ. მ ლევენსონ-ლიუდმილა, სველპე, ა. კრავჩენკო, ნ. ი. მიზიკინი, ა. ტილე, ვ. დულინი, ა. რეტლინგი, ა. გერშტეინი, პ. პ. კოროლიოვი, ტ. ს. კოვალჩუკი, ე. მ. ეკშტეინი, ბაიარი, ლ. ბაბუშკინა, ქ. დენისოვი, ვ. მ. კლიპოვი, ვ. შელუხინი, რიბინსკაია, ა. გ. პეზნერ-ნეჟენცევა, ს. მ. ზრიაჩკინი, ვ. ფ. ორეხოვსკი, მ პეტრაკოვი, ვუკოლოვი, პ. იოფე, ი ა. ბობკოვი, ვ. პოზნერი, ნ. ზემლიაკოვა, ი. ლ. ტოლსტიკოვი, ე. გ. ვარსამოვა, ტ. პ. მალიუტინი, ა. ბ. ზევინა, მ. ს. კაბანოვი, მ. ს. კისელიოვი, ა. პ. პარშინი, ი. პ. პეტუხოვი, მ. ვ. ბრუსილოვსკაია, პ. ს. სტეპანოვა, ე. ი. გერცოვსკაია, ა. ი. ბლინიკოვი, ო. ი. მინჩინა, რ. ბ. ბორისოვა, ვ. ა. შუსტოვი, ფ. ი. ვენცკოვიჩი, ა. მ. კულეშოვი, ნ. ა. ანიშკინი, გ. ს. ოლშანსკი, ი. ი. გენდელევი, ნ. ი. ვასილენკო, ა. კონენკოვი, ფ. ი. ლაბიშევსკი, ა. პ. სტალიფეროვსკი, ა. ა. სილივანოვი, ვ. გოლოვინი, ფ. მ. კისლიაკოვი, პ. ფ. კუზნეცოვი, კამენსკი, ე. ს. ვლასოვი, ლ. რ. რომანოვი, ფ. ივანოვი, ზ. ნ. ფონჩენკო, ი. ი. აისბერგი, ა. გ. გორდონი, ე. პ. შტრეიბერგი, პ. ბლიახინი, ი. მ. გორდიენკო, ა. ს. საველიევი, ა. ვ. ანციშკინი, ა. ნ. ტიტოვი, ი. მ. ლიდვანსკი, ნ. ვ. სოლოვიოვა, ე. ფ. ვლადიმირსკაია, ლ. ნ. ბარხატოვა, ს. პ. კაულინი, ი. ე. ლეონოვი, ა. გ. კომაროვი, ბ. კლიმოვი, ლ. კატაშევა, გონჩარსკაია, ო. ლევიჩი, ი. კოგანი, ფ. რიზელი, ა. გოროხი, ვ. ვ. გორდეევი, პ. ა. ნოვიკოვა, ჩაპლინსკი, ე. დ. ოზოლი, ს. ფ. პიროჟკოვი, ა. ვ. ციკულენკო, ქ. ქ. სტრაუმე, ი. ს. სიროტკინი, ა. ლესიკი, მ. ლევგალი, ქ ს ტუპიკოვი, არტემოვი, ნ. ვ. ბორისოვი, მ. პეტროვა, ტ. ი. სტარიკოვა, ი. ი. ბუროვი, ი. შერი, პ. ვოლკოვი, მ. გოლოვჩანსკი, ფ. სმირნოვი, ა. ვასენდინი, ი. ბაზანოვი, ს მ. კოლტუნი, ფ. დრიგო, გ. ლაპშინი, ფ. გრიბოვი, გ. ბრილევი, ჩ. ფიდლერმანი, ე. კორმინი, ი. პარხომენკო, ტ. ლევინსკაია, ა. კრუშინინი, ტ. სენტარეცკი, ი. ფ. იერნო, მატვეევი, ფ. ბოდროვი, ხრუშჩოვა, ა. პირეიკო, ა. ბლოხკინი, ი. იახნევი, ა. ს. ალექსანდროვი, ა. ა. სლავინსკაია, მ. ივანოვი, მ. ლევინა, ი. ვანეევა, ა. დოლგუშინი, ა. დ. დუბროვინსკაია, მ. ბაზანოვა, ა. შირიამოვი, ვ. მოჩალოვი, ი. პანტელეევი, მ. კულიკოვი, ე. მ. კოლტუნ-ბაბინა, დ. პოლოსინი, ფ. მაურერი, გ. ა. მურაშოვი, ა. პიროცკაია, გ. ხრისტენკო, ა. შენინ-ცეპელევიჩი, ი. ა. ცენოვი, ნ. შიროკიხი, ა. ვენტი, ფ. როგოვი, მ. ი. ლებედევი, პ. ლებიტი, ტ. სავკოვა, ვ. სმირნოვი, დ. პეტროვი, ბ რაჩკოვსკაია, ს. ლევიტინი, ე. ბარანოვი, ი. მირიტეევი, ქ. ევნევიჩი, ვ. ლოსევი, ა. პერვუხინა, გ. ლიახინი, ი. შჩერბაკოვი, გ. პეროვოზჩიკოვი, ა კენარსკი, პ. სამოვოლნოვი, ი. ზარნიცინა, ს. რუკოლეევი, ვ. ტერლიკოვა, ვ. კალაშნიკოვი, ა. პისმენი, მ. ხრინინი, დანილოვსკი, ი. პეტროვი, ი. ემუკოვი, ე. პისკუნოვი, ფ. კაცნელსონი, ი. რომეიკო, ა. მარკოვი, გ. გროსმანი, რ. ბასკირი, ი. ცარიცინი, გ. პისკარევი, გ. პივოვაროვი, მ. შესტოპალოვი, ვ. დობკინა, მოროზოვი, ს. ხიხერი, ნ. ფედიევი, დ. სიდოროვი, ა. გერასიმოვი, ს. სკალოვი, ს. მინინა, ვ. სოლოვიოვი, ს. შუბინი, ა. კალონი, გ. დუკალსკი, ს. სმირნოვი, ე. სერგეევა, დ. გონჩაროვა, ა სივოლევი, ა. გ. რიხტერი, მ. ფლეიშმანი, რ. მიზანი, ტ. მოსკატელნიკოვა, ა. სიროტა ნაკორიაკოვა, გვოზდევი, ი. კრუმინ-ლაპსა, ს. იაკიმოვი, ს. პრავდივცევი, დ. პევუნოვი, მ შოისეტი, ა. პალჩიკი, ფ. კალინინი, ვ. კურბატოვა, ა. მარკოვა, ს. ბირიუკოვი, რ. ენინი, კასესინოვა, კორობიცინი, მ. სარაევა-ზუბკოვა, მ. ზაგუმენიხი, დ. ბასალიგო, ჩასოვენი, მ. კარტაშოვი.

გეგმების შესრულება

ქუთაისის რაიონმა 5 ნოემბრისათვის შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების 1947 წლის გეგმა. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, კვერცხისა — 100, რძისა — 106,7, მატყლისა — 100, დიდი ტყავისა — 106,7, საშუალო ტყავისა — 200,6, ხოლო წვრილი ტყავისა — 100 პროცენტით. რაიონმა თივის დამზადების გეგმა 100 პროცენტით შეასრულა.

* * *

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა 5 ნოემბრისათვის საშემოდგომო თესვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. დათესილია 7.509 ჰექტარი ხორბალი. თესვა გრძელდება. ამავე რიცხვისათვის მარცვლეულის დამზადების გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, ხორცისა — 106, რძისა — 100, კვერცხისა — 103, ბრინზა ყველისა — 110, თივისა — 106, ბოსტნეულისა — 100, კარტოფილისა — 106 პროცენტით.

* * *

ლაგოდეხის რაიონმა 5 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 2.856 ტონა თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.800 ტონისა. 5 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შესრულდა საშემოდგომო თესვის გეგმა. დათესილია 1.342 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.300 ჰექტარისა. გეგმის გადამეტებით თამბაქოს დამზადება და თესვა გრძელდება.

* * *

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობები ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავს. გადაჭარბებით არის შესრულებული მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. შესრულებულია აგრეთვე თამბაქოს დამზადების გეგმა. კოლმეურნეობებმა ბამბის აღების გეგმა 105 პროცენტით შეასრულეს. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის განვითარების 1947 წლის გეგმა ყველა სახის მიხედვით.

* * *

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ 5 ნოემბრისათვის შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 104.4 პროცენტით, რძისა — 100,2, კვერცხისა — 106,8, მატყლისა — 101,6.

ამხ. ევტიხი ილარიონის-ძე ჩერქეზია — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის კანდიდატი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის კომიტეტმა განიხილა საკითხი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენების შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა, მიიღო გადაწყვეტილება კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციისაგან მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენოს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხანაგი ევტიხი ილარიონის-ძე ჩერქეზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს

ქართველი მწერლების მიმართვა. მიღებული საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმზე 1947 წლის 5 ნოემბერს

საბჭოთა საქართველოდან დაბლობებით და ქედებით,
გულთბილ მადლობას გითვლიან გამრჯე ქართველი დედები.

შენ სურათს ვარდებს ესვრიან ქვეითები და მხედრები.
მთელი ხმით შენზე მღერიან ქართული სიტყვის მთქმელები.

შენ გიგალობენ ბელადო, შენ გესწრაფიან მზიანო,
მღერიან: ყოველ მიღწევას შენი სახელი ჰქვიანო.

მღერიან, ტურფა სამშობლოს შენი ნათელი ედება,
ღრუბლები გადაიყარეს კავკასიონის ქედებმა.

რამდენ ქედზე და მწვერვალზე შენმა ხმამ სწორედ გვატარა,
ეხლა გადიდებს ახლობელს ხალხში დიდი და პატარა.

ლენინთან ერთად ოქტომბრის შენ საძირკველი ჩაჰყარე,
წინ მიგვიძღოდი ბრძოლაში და გამარჯვება გვახარე.

შენი ფრთის ჩრდილში ვიზრდებით, მშრომელი შენ გულს მიენდო,
ხალხის დიადო გულისთქმავ, მოამაგევ და იმედო.

სტალინს სამშობლო გუგუნებს. სტალინ, გიმღერის ბუნება
და ეს სახელი ბრწყინვალე ხალხის გულს ესალმუნება.

რა მძიმე იყო წარსული, კისერზე გვედგა უღელი,
გმინავდა ხალხი ქართველი, დრტვინავდა ქედმოუხრელი.

მაგრამ გულს როდი გვიტეხდა ჩვენს ცაზე შავი ღრუბლები,
ბნელს იქით სჩანდა ნათელი — რიჟრაჟი თავისუფლების.

ამ რიჟრაჟს სჭვრეტდა ილია, უმღერდა მის დამკვიდრებას,
ქართული სიტყვის მედროშე, ჩვენი მწერლობის დიდება.

ამ მომავლისთვის აკაკის უტკბეს ჩანგს ცრემლი სდენია,
მას უმღეროდა მთებიდან ვაჟა-ფშაველას გენია.

დრო დადგა გამოფხიზლების, უდიდეს გარდატეხათა,
მუშათა ამოძრავება ცარიზმს დაატყდა მეხადა,

ახალი კლასი უტევდა ძლიერი, ფეხზე დამდგარი,
ლენინი იყო რუსეთში ამ ბრძოლის ბაირახტარი.

სტალინ! აქ, ჩვენში შენ იყავ მშრომელი ხალხის ნუგეში,
მისი მედროშე, ბელადი, ჯერ კიდევ სიჭაბუკეში.

ლენინი იყო ჩაგრულთა იმედის გასხივოსნება,
„მე უნდა ვნახო ლენინი!“—ეს იყო შენი ოცნება.

მალე ნატვრა სიჭაბუკის აგისრულდა მომხიბვლელი,
ურთერთს შეხვდით, მთის არწივი და მგზნებარე კოლხიდელი.

და იმ დღიდან განამტკიცეთ მეგობრობა არნახული,
რომ ხალხისთვის მოგეტანათ საოცნებო გაზაფხული.

თქვენ ერთად სჭედეთ პარტია ბრძოლის ქარცეცხლში ნაწრთობი,
ჩვენი გზის მანათობელი, გაუქრობელი მნათობი.

პარტია ხალხთა მასებში თქვენივე სიბრძნის მთესავი,
პარტია ბოლშევიკების მტკიცე, ურყევი კლდესავით.

წინ თქვენ უძღოდით პარტიას, მის განუწყვეტელ იერიშს,
უკანასკნელი დარტყმისთვის ხალხი დარაზმეთ ძლიერი.

და დადგა ცხრაასჩვიდმეტი, დღე გადამწყვეტი ბრძოლების,
მაშინაც შენ და ლენინი იყავით წინამძღოლები.

აყვავდა თქვენი მოძღვრება ქვეყანას გადაფენილი,
რაც გულში ჰქონდა მშრომელ ხალხს შთაგონებული, სმენილი.

შემოგხვდათ მთელი რუსეთი, მაშვრალთა ვაშა გულწრფელი,
გამოჩნდით ორი ბელადი, ორი მედროშე უცვლელი.

ახლად ასაგებ სახლისთვის ჩაჰყარეთ სხვა საფუძველი,
ხალხს თქვენს სიმართლეს უხსნიდა მებრძოლი „პრავდის“ ფურცელი.

თქვენ შთააგონეთ მშრომელებს სამშობლოს დასაკუთრება,
თქვენ მოუწოდეთ: „შეტევა!“, „საბჭოებს ძალაუფლება!“,

მათ თქვენა ჰყავდით მნათობნი მრისხანე ქართა ქროლაში,
თავისუფლების მძებნელებს—სიმართლისაკენ სრბოლაში,

ოქტომბრის დიად დღეების თოფ-ზარბაზნების სროლაში
თქვენ წაიყვანეთ მშრომელნი მედგარ, გადამწყვეტ ბრძოლაში.

როცა პიტერის მასებმა ბრძოლის ყიჟინა დასძახეს,
როცა მებრძოლთა რაზმები მიეჭრა ზამთრის სასახლეს.

დროშა ასწიეს მასებმა, რაც თქვენ ოდითვე გჭერიათ,
საქმედ გადიქცა — თქვენს მარჯვენს რაც სიტყვა დაუწერია.

აღსრულდა! ქვეყნად ავნთო რევოლუციის ხანძარი,
ზღვას გაჰკიოდა „ავრორა“, მიწას გაჰქონდა ზანზარი.

ძველი სამყაროს მღეწველი, ახალი ქვეყნის მჭედელი,
თავისუფლების სიმბოლოდ გადიქცა სმოლნის კედელი.

ამ დროს-კი ჩვენში გამეფდა მენშევიკების მთავრობა,
გამეფდა ჟამი სასტიკი, რბევა, ჩაგვრა და მძლავრობა.

მხოლოდ ომი და სისხლის ღვრა, — ეს იყო მათი მიზანი,
ერთმანეთს გადაამტერეს ხალხები მეზობლისანი.

ეამათ ჩარჩებს, მჩაგვრელებს, — წამოიშალნენ ქორები,
კვლავ ბატონობის აღდგენას ლამობდენ მუქთახორები.

მტრის სათარეშოდ აქციეს ჩვენი მთები და ველები,
თავისუფლებას აღრჩობდნენ სამშობლოს გამყიდველები.

რუსეთთან გზები ჩაჰკეტეს, მტრებს-კი გაუღეს კარები,
გერმანელების ჯარს მოჰყვნენ ინგლისელების ჯარები.

ვის არ იწვევდნენ სალაშქროდ, ვის არა სცემდნენ თაყვანსა,
მოსწყვიტეს ჩვენი ქვეყანა რევოლუციის აკვანსა.

დაიკავშირეს თეთრებიც, — მტრის გარიყული ძალები,
დონის-როსტოვის, ყუბანის შავბნელი ნაძირალები.

თან ცეცხლში ხელებს ითბობდნენ, ღვიოდა ომის ალდარი,
შავი ზღვის გველეშაპივით გადმოსულიყო თათარი.

მას ჩვენი შთანთქმა ეწადა, მსხვერპლი ეწადა ძალიან,
აღარ იკმარა ურჯულომ, რაც ჩვენი სისხლი დალია.

ამ დროს რუსეთის ქვეყანას, როგორც მძვინვარე ალქარი,
გარედან შემოსეოდა თოთხმეტი ქვეყნის ლაშქარი.

სისხლი ეწადა დენიკინს, ვრანგელიც იმუქრებოდა,
რევოლუციის ხანძარი მაინც აღარა ჰქრებოდა.

ლენინთან იყო სტალინი, ოქტომბრის დროშას ჰფიცავდა,
მხნედ გასძახოდა პეტროგრადს, მკერდით ცარიცინს იცავდა.

იცავდნენ, — ძმათა ნაფიცთა სიმტკიცის გამომხატველნი, —
ჩრდილოეთს—მთების არწივი, სამხრეთს—მგზნებარე ქართველი.

დამარცხდნენ დამპყრობლები, დაცხრა მძვინვარე ხანძარი,
ბოლო მოეღო დენიკინს, ვრანგელს დაეცა თავზარი.

კვლავ ქუხდა კავკასიონი, მტკვარი კვლავ ბედზე სჩიოდა,
საუკუნეთა ნაღველი ნაპირზე გადმოსდიოდა.

და იყო შფოთი ხალხისა, კვლავ მოწოდება გმირული,
ჩარჩებზე, დამჩაგვრელებზე შეტევა თავგანწირული.

ჩვენ ოქტომბერმა დაგვიხსნა, მზე ამოვიდა გორიდან,
ის ჩვენი დიდი იმედი თებერვლის თვეში მოვიდა.

მისი აქ მოსვლა პირველად, ვით გამარჯვების ნაღარა,
სტალინის თანამებრძოლმა ორჯონიკიძემ გვახარა.

გათავდა ბრძოლა, სისხლის-ღვრა, განუწყვეტელი თარეში,
მშვიდობის დილა გათენდა ჩვენს გამარჯვებულ მხარეში.

და შრომის სადარაჯოზე დადგნენ, ვით რკინის კედელი,
სოფლის მშრომელი გლეხკაცი, ქარხნის მუშა და მჭედელი.

გმირულად, თავგანწირულად, ძალღონის შემოკრებითა,
მშობლიურ ქვეყნის აღდგენას ერთად შეუდგნენ მხრებითა.

მას შემდეგ ჩვენი სამშობლო მშრომელი, მხნე და მედგარი,
მაღლა, სულ მაღლა იზრდება დიდების გზაზე შემდგარი.

ჩვენ თებერვალი გვახარებს, ის მუდამ ოქროსფერია,
ის ჩვენი ქვეყნის დამცველი და ჩვენი ოქტომბერია.

როს მიდიოდა ლენინი — ჩვენი მამა და მშობელი,
ძაძებში გახვეულიყო ქალაქი, დაბა, სოფელი, —

ლენინთან შენაფიცარი და ლენინივით ღელვილი
შენ მტკიცედ დადექ დროშასთან თანამებრძოლი ლენინის.

და წინ წაიღე ბრძოლებში მრავალ ბრძოლების მიმთვლელი
ლენინის დროშა დიადი, პარტიის დროშა წითელი.

შენ ჩაუყენე ვაჟკაცებს სიმხნე, სიქველე ლენინის,
შენ ასახელე სამშობლო წინათ მტრისაგან დევნილი.

შენ გაიყოლე ბრძოლებში რაზმი და რაზმი რჩეული...
და ახლა, როცა ზეიმობს ქვეყანა გამარჯვებული, —

შენ ისევ დგები კრემლის წინ, სადაც ვარსკვლავი კაშკაშებს
და ესალმები კრემლიდან შრომის და ბრძოლის ვაჟკაცებს.

კრემლის წინ დგანან დროშები, მთებზეც დროშები მიღელავს
ეს ხალხი მოგესალმება, ისმის ქართული სიმღერაც.

ქართველი მღერის ქართულად, ჩონგურის სიმი წკრიალებს,
მოჰქრის მთებიდან არწივი და კლდეებს მოაშრიალებს.

ჩვენი ოცნებაც მანდ არის, სადაც კრემლია მაღალი,
რადგანაც კრემლში მუშაობს ჩვენი მამა და სარდალი.

და მაშინ, როცა სალუტის ზალპი-ზალპს გაეკიდება,
დროდადრო ფიქრი წაგიღებს, დროდადრო გაგეღიმება,

მოგაგონდება განვლილი ჟამი, ფიცი და ლენინი...
მოგაგონდება ძაძებში დროშები ძირს დაფენილი.

თავს ფიქრი შემოგეხვევა, როგორც ნისლები მყინვარის
და დგეხარ მავზოლეუმზე არწივი ხმა-გამყივარი.

ხედავ: მთებს წინად ნახარს და განახლებულს ამიერ, —
ეს შენი დიადი ფიცი იზრდება მრავალჟამიერ.

ახლა, როცა ცას მიარღვევს გამჭრიახი ორბის თვალი,
ჩვენო დიდო შუქნათელო, ჩვენო მზეო, ჩვენო სტალინ, —

კრემლის დიდი ქონგურები, ვარსკვლავების დიდი გუნდი
იმოსება ოქტომბერის ლალითა და იაგუნდით, —

აღარ ჩივის ალაზანი და ლიახვიც აღარ ჩივის
და ჩვენ ვმღერით, რომ ქვეყანას ვემსახუროთ ილიჩივით!

ჩვენი ტურფა ივერია, ჩვენი მთა და ჩვენი ბარი
მუდამ იყო მადლიერი თავის დიდი მეგობარით.

და რუსეთიც — ეს ნიადაგ უფროსი ძმა ძმათა შორის
ხუთმეტივით გულმართალი, ხუთმეტივით თანასწორი, —

დგას პირველი... და კრემლიდან წამოსული შუქნათელით
იმოსება ზღვიდან ზღვამდე რესპუბლიკის მთა და ველი;

იმოსება შუქნათელით კავკასიის დიდი მთები,
სადაც მზესთან თამაშობენ ივერიის არწივები.

სხივი მტკვარზე გაფენილა, სანაპიროს გზანი ჰქრიან,
ეს ბერიას ნაშენები ახალ თბილისქალაქია.

ახლა სხვაა საქართველო! სხვაა მისი მთა და სერი
და ქართველი კოლმეურნეც თავისუფალ შრომას მღერის.

სხვაა მისი მარგანეცი, ქვანახშირი, ღვინო, ხილი,
მისი ჩაი და თამბაქო, და ყანები თავდახრილი.

მოდის უხვი საქართველო ლიმონით და ფორთოხალით,
მოდის გზებზე, და ქალაქებს ავსებს მისი მოსავალი.

ჩვენს ოცნებას და სიმღერას გაუშლია ლაღად ფრთები,
რადგან შენით შუქმოსილან საქართველოს მთა-ველები.

ასე იყო ომის წინაც, ასე რეკდა შრომის ლელო,
ხუთმეტ მოძმე რესპუბლიკას მხარში ედგა საქართველო.

საქართველოს მთებს და ველებს ჩვენც ვუდექით დარაჯებად,
ჩვენი წმინდა მცნება იყო: სტალინი და გამარჯვება!

ჩვენ თუ შრომას და ცხოვრებას ვუმღეროდით ყველა მაშინ,
ტრაქტორების მწკრივი იდგა სტალინგრადის ქარხანაში, —

ზეინკალი ფოლადს სჭრიდა, კოლმეურნე ყანას მკიდა
და სიმღერა მოისმოდა სოფლიდან და ქალაქიდან.

მაგრამ უცბად ხმა გავარდა, ხმა გავარდა ბობოქარი,
ყანებს, ბაღებს და ვენახებს ძირიანად ჰგლეჯდა ქარი.

არა! ქარი ის არ იყო! ის არ იყო ქარიშხალი!
ღამეს ცეცხლი ელვებდა, ცას სწვდებოდა მისი ალი.

ჩვენს საზღვრებში შემოიჭრა ჩვენი მტერი ძველთაძველი
და შეცურდა ომის ცეცხლში რესპუბლიკის მთა და ველი.

მოგვადგა მტერი ნიაღვრით, ჯავშანასხმული ყელამდი,
შავი ზღვის სანაპიროდან თეთრი ზღვის მისასვლელამდი.

ქვეყნად ვისა აქვს სამშობლო, ჩვენსავით დასაფიცარი,
ჩვენი ნატვრა და გულისთქმა, ჩვენი სიცოცხლეც ის არი!

ქვეყნად ვისა ჰყავს ბელადი, შენებრ ბრძენი და გულადი, —
ხალხის გულში რომ იცოცხლებს — ამ ქვეყნის დასასრულამდი!

ასე მიტომ შემოერტყა ჩვენს სამშობლოს ხალხი კედლად,
და მტრის ტყვიას ტყვიით დახვდა, მკერდსაც მკერდი შეახვედრა.

ასე მიტომ დადგა ფეხზე მამულისთვის ერთად ყველა,
ძმა ძმას გაჰყვა ბრძოლის ველზე და შვილს მამა მიეშველა,

საბჭოეთის ყველა კუთხივ, ყველა ქოხმა, ყველა კერამ,
როგორც ქვეყნის ერთმა გულმა—ერთნაირად იწყო ძგერა.

ამოდუღდა ხალხის რისხვა, ადრეც ბევრჯერ ნარისხვალი
და შენს დროშას, წმინდა დროშას, გაჰყვა როგორც ქარიშხალი.

გაჰყვა, რაც ჩვენი სიმტკიცის ძალა და ფუძე ყოფილა, —
ხალხი-ხალხს, შენმა უკვდავმა საქმემ რომ დააძმობილა.

ეს ძმობა იდგა მოსკოვთან, როგორც ურყევი კედელი,
ეს ძმობა ედგა ლენინგრადს — მისი დიდების მჭედელი.

ეს ძმობა, რასაც ომამდე ძმა-ძმას შრომაში ჰფიცავდა,
ომში ფოლადად ქცეული, მტრისგან სტალინგრადს იცავდა.

ამ ძმობამ, ისრის კონებად შენ რომ იმ თავით შეჰკარი,
თერგზეც ჩაჰკეტა მტრისათვის ყველა ხევი და კლდე-კარი.

ბრძოლის ველზე გასულ გმირებს შინაც გმირთა კერა დარჩათ,
შრომა გახდა სასახელო და გმირობად იქცა გარჯა.

თუმც მოაკლდა კაცის ხელი თვალუწვდენელ ხნულს და სამკალს,
ომში წასულ შვილის დედამ არ მოჰკიდა ჟანგი ნამგალს,

არ მოჰკიდა მიწას ხავსი, არ დაატყო მტვერი ფიწალს,
ქალი გახდა გუთნის დედა, რომ ჰქონოდა მადლი მიწას.

ყველგან, სადაც მოუწოდე შინ დარჩენილ მშრომელს დგომა,
დადგა, როგორც ჯარისკაცი და დააწრთო რკინას შრომა.

დადნა რკინა, ხვავი დადგა, მიწის მადლი დადგა ზვინად,
გულხვავი და უფრო მეტი, რაც ჰქონია მადლი წინად.

ბრძოლის ველზე გმირის ბრძოლამ, შრომაშიაც გმირის გარჯამ
მტერს სძლია და, დიდო სტალინ შენი დროშით გაიმარჯვა!

ამ ბრძოლას, შრომას, გმირობას, ბურჯივით ედგა ქართველი,
ბერლინის კართან იბრძოდნენ ქართლში გაზრდილნი მართვებიც.

ბერლინის თავზე ამართულ დროშას მრავალგვარ ნატყვიარს,
ქართველი კაცის გმირობის ერთი ნაჭდევიც ატყვია!

ვიბრძოდით, ომი გათავდა, მოგვწყურდა შრომის ხელობა,
ხნულს დაუბრუნდა პატრონი, თესლიც ხომ მთესველს ელოდა!

დაზგასთან გაჩნდა ოსტატი, გრდემლთან, ქურასთან მჭედელი,
გაჩაღდა შრომის გუგუნი მწყობრი და შეუწყვეტელი.

მაგრამ მტერმა განა ერთგან მოგვიშალა მყუდრო კერა.
განა ერთი ხვავის დენა მოგვისპო და შეგვიჩერა!

განა ერთგან გამოჰკეტა ქარხნის კარი, სახლის კარი, —
განა ერთგან უნდა ჩავდგათ კედელი და ფუძე მყარი.

და ისევ შენ, ბრძნული ხელით, რა წამს ჩადგა ომის დელგმა,
დიდო სტალინ, დაგვისახე ბრძოლისა და შრომის გეგმა!

ამ გეგმით კედლებს ჰკირავენ ომგადახდილი მხედრები,
ამ გეგმით სთლიან ჩუქურთმებს ხუთწლედის ოქრომჭედლები.

ეს გეგმა უდევს საძირკვლად ყველა ბრძმედსა და მაღაროს,
მან უნდა გახსნას ქვესკნელი, უდაბნო უნდა ახაროს.

საქართველოშიც ანათებს ამ გეგმის შუქი მაღალი,
მტკვარზე იზრდება დევგმირი — ქალაქი ახალთახალი:

რუსთავი — დღემდე მძინარი, როგორც უდაბნო გამხმარი,
დღეიდან ჩვენი იმედი და ჩვენი ქვეყნის ფარ-ხმალი.

ქუთაისშიც იბრძვის გმირი, დღე-ცისმარე ფოლადს სჭედავს,
რომ აკმაროს ურმის დევნა მეხრესა და გუთნის დედას;

რომ ასწიოს სოფლის ტვირთი ძრავის ერთმა გაქანებამ,
და აავსოს ქვეყნის გზები ქუთათურმა მანქანებმა.

ასე ავსებს ხალხის დოვლათს იმ უკვდავი გეგმის მადლი,
ასე, უჭკნობ ბაღნარივით, თვალწარმტაცი მოსჩანს ქართლი.

მოსჩანს, — სამგორს ივრის წყალი ბაღ-ვენახით როგორ მოსავს,
ყოველ ბაღში, ყოველ შტოზე ტახტი უდგა დილის მგოსანს.

ყოველ ბუჩქთან მღერის წყარო, ყოველ ხესთან ნაკადული,
სამგორიდან თბილისამდე სურათივით დახატული.

შუქურები მოსდგომია ღრმა ღელის და დიღმის ხრამებს,
აქ რომ მტკვარი ბნელს შებმია, იქ რიონი უტევს ღამეს.

მალე ხრამის ელვაც მოვა, საზეიმოდ მორთავს თბილისს,
ლიხს გავა და ქართულ მიწას ზღვის პირამდე შემოივლის.

მოსჩანს კოლხიდის ბაღნარი ტურფა და ათასფერადი,
შენა ხარ მისი მებაღე, — ჩვენი მამა და ბელადი;

ჰყვავის, ხვავდება დოვლათი, ნარინჯი დგება ზვინებად,
კოლხიდის ოქროს მადანი საქვეყნოდ მიედინება.

ქართული მიწის ნაყოფი კიდით-კიდემდე მოჰფინა
თქმულება ოქროს ვერძისა, განა ზღაპარი ყოფილა!

ასე ავსებს ქვეყნის დოვლათს იმ უკვდავი გეგმის მადლი,
ასე, უჭკნობ ბაღნარივით თვალწარმტაცი მოსჩანს ქართლი.

მოსჩანს მთელი საბჭოეთი, — თავისუფალ ხალხის კერა,
დიდო სტალინ, შენმა სიბრძნემ — ეს გეგმა რომ დაუწერა!

და თუ კვლავ გვიღრენს საქვეყნოდ შარაზე მწოლი ნადირი,
სურს დედამიწა შესანსლოს, — ვერ აისრულოს წადილი.

რადგან სულ უფრო იზრდება ხმელეთზე ძალა ნამდვილი,
ვისთანაც მისი ჭიდილი როდი იქნება ადვილი.

მას კარგად ახსოვს საბჭოთა ხალხის ძალღონე ზღაპრული,
ბერლინის კედლებს ატყვიათ ეხლაც იმ გმირის დაკრული.

ეს რომ ახსოვს, მიტომ ღრინავს, მიტომ იპყრობს შიში ბნელეთს,
ოკეანეს გადაღმიდან მიტომ იწვდის ჩვენსკენ ხელებს.

მაგრამ ჩარხი ჩვენი ქვეყნის ისევ-ისე წაღმა ბრუნავს,
ამ დიდ გზაზე ჩვენი მტერი მას რამდენჯერ დაუთრგუნავს!

ასე ივლის, ასე წაშლის, რაც დახვდება გზაზე — მერეც,
ჩვენი ქვეყნის დიად წინსვლას ვერაფერი შეაჩერებს.

რადგან სინათლის წინაშე მუდამ ჩვენა ვართ მართალი,
რადგან შენ გვყევხარ ბელადი, წინამძღვარი და სარდალი!

გაბედონ! სისხლის აღება სჩვევიათ სხვისი კისრიდან,
ფოლადათ მოვეფარგლებით ჩვენს საზღვრებს გულის ფიცრითა!

ძარღვი არ აგვითრთოლდება, გულიც, მაჯაც გვაქვს მაგარი,
ვით ქარი ქარზე შემჯდარი, არწივი ფრთაზე დამდგარი,

დავხვდებით! კიდევ შეიტყოს მტერმა ჩვენი ხმლის ნაკრავი,
ჩვენს ქარიშხლიანს ნისლებში ვიპოვნეთ ჩვენი ვარსკვლავი!

სხვა რიგის მტრებიც მრავლად გვყავს, ენა რომ მოულესიათ,
ენით, სინდისით ბაზრობა, მათი ხელობის წესია.

და თუ აღარა სცხრებიან, ომი თუ მოენატრებათ,
მათს მოქლარუნე აბჯარსაც, ქარს გავაყოლებთ ნამტვრევად.

გულს კვლავ ის ცეცხლი გვიხურებს, შენ რომ ჩვენს გულში დასძარი,
კვლავ გვიხმობს დიდი სამშობლო — თავისუფლების ტაძარი.

კვლავ მხნეობისკენ გვეძახის ჩვენი სამშობლოს მინდვრები,
ისევ შენს სახელს ვუმღერით, ისევ შენ დაგეწინდრებით.

ჩვენო მზევ, ჩვენო დროშაო, შენ ჩვენო დიდო იმედო,
ვინ არ განაცვლოს სიცოცხლე, შენთვის არ გამოიმეტოს.

წინამძღვარო და ბელადო, ხალხთა მტრის დამადნობელო,
ნათელო ჩაუქრობელო, მსოფლიოს მანათობელო.

სამშობლოს ვარდი შენ სახელს! სამშობლოს შემამკობელო,
სალამი, შენი ქართლიდან, დიდო მამავ და მშობელო!

მიმართვა ლექსად გამოსთქვეს პოეტებმა:

გრიგოლ აბაშიძემ, ირაკლი აბაშიძემ, ალექსანდრე გომიაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ალიო მირცხულავამ, ილო მოსაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მონღოლი ხალხისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით მხურვალედ მოგილოცავთ თქვენ, საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას და მთელ საბჭოთა ხალხს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავს, რევოლუციისა, რომელმაც დასაწყისი მისცა ხალხთა განთავისუფლებას ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმისაგან და რომელიც ამიტომ წარმოადგენს მიჯნას, საიდანაც იწყება ახალი ხანა კაცობრიობის განვითარებაში.

განვლილი 30 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით შექმნილია სოციალისტური საზოგადოება. საბჭოთა ქვეყანა გადაქცეულია დიდ მძლავრ სახელმწიფოდ, რომლის ძალასა და ძლიერებაზე დაიმსხვრა ფაშიზმის შავბნელი ძალები. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მონღოლი ხალხისათვის მაშინვე ცხადი გახდა ამ რევოლუციისა და საბჭოთა სახელმწიფოს ნამდვილი ბუნება და მათი სამართლიანი პრინციპების არსი, როცა საბჭოთა მთავრობამ უარი სთქვა მეფის მთავრობის მიერ მონღოლეთის შესახებ დადებულ კაბალურ ხელშეკრულებებზე და როცა საბჭოთა კავშირმა პირველმა აღიარა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რაც მოპოვებულ იქნა დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობის მთელი ისტორია განუყრელად დაკავშირებულია იმ უდიდეს უანგარო დახმარებასთან, რასაც საბჭოთა კავშირი უწევდა და უწევს მონღოლეთს მისი ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმეში. მონღოლი ხალხი განსაკუთრებით აფასებს ამ დახმარებას, და ოქტომბრის 30 წლისთავის დღეს იგი დიდ და გულწრფელ მადლობას უხდის ძმური დახმარებისათვის საბჭოთა ხალხს, მის მთავრობას და მის დიდ ბელადს სტალინს. ამ დიდი დახმარებისა და მხარდაჭერის მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათლად სჩანს იმ ფონზე, რომ ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფო იფარებს „დახმარების“, „დახმარების გაწევის გეგმების“, ყოველგვარი „დოქტრინების“ მთლიანად ყალბ აზრს და ცდილობს განახორციელოს თავისი ექსპანსიონისტური მისწრაფებანი, რომლებიც ხალხთა ეროვნული სუვერენიტეტისათვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენენ.

მონღოლი ხალხი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას დემოკრატიული ქვეყნების სამართლიან ბრძოლას ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, უახლოეს წლებში მოიპოვებს კიდევ უფრო დიდ წარმატებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში, რომ ომის იმპერიალისტ მოსურნეთა წინააღმდეგ დემოკრატიული ბანაკის შეუპოვარი და განუწყვეტელი ბრძოლა მძლავრი ძალა იქნება რეაქციონერთა და ომის გამჩაღებელთა ასალაგმავად.

მონღოლი ხალხისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით გულწრფელად ვუსურვებ ახალ-ახალ წარმატებას დიდ საბჭოთა ხალხს ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს —ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯს!

გაუმარჯოს ჩვენი ხალხების ურღვევ მეგობრობას!

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მარშალი
ჩოიბალსანი

პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპეშა

ბატონ გენერალისიმუს სტალინს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეათე წლისთავზე, რევოლუციისა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში გარდატეხის თარიღი გახდა, პირადად ჩემი და პოლონეთის მთავრობის სახელით უაღრესად გულითად სურვილებსა და მილოცვას გიძღვნით თქვენ და საბჭოთა კავშირის ხალხებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის სულისჩამდგმელნი და ხელმძღვანელნი იყვნენ ლენინი და სტალინი, რუსეთის ხალხებს მოუტანა არა მარტო თავისუფლება, არამედ აგრეთვე შექმნა ხალხთა შორის ახალი ურთიერთობის საფუძველი და დაიწყო ახალი ერა პოლონეთთან ურთიერთობაში.

დღეს ჩვენ მშვიდობის განმტკიცებისადმი ერთობლივ მისწრაფებაში, რაც აგრეთვე მსოფლიოს ყველა ხალხს სურს, ვუერთდებით მოძმე ხალხებს საბჭოთა კავშირისას, რომელიც პროგრესის მტკიცე ბურჯი და ღრმად ადამიანური კულტურის კერა გახდა.

საბჭოთა კავშირთან კავშირმა და მეგობრობამ თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოგვიტანა. მოძმე საბჭოთა ხალხებთან გულითადი მეგობრობის შემდგომ განვითარებაში ვხედავთ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მომავლის საუკეთესო გარანტიას, საერთო კეთილდღეობის, საყოველთაო უშიშროებისა და მშვიდობის გარანტიას.

იუზეფ ციარანკევიჩი

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეათე წლისთავის დღეს მხურვალე პროლეტარულ სალამს გიძღვნით, თქვენ, ამხანაგო სტალინ, საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და სსრ კავშირის ხალხებს.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ გაათავისუფლა ადამიანი კაპიტალისტური მონობისა და ჩაგვრისაგან, დასაბამი მისცა სოციალიზმისა და მშრომელთა მასების ნამდვილი თავისუფლების განხორციელებას. დიადი გამარჯვებებით არის აღნიშნული ამ ოცდაათ წელს განვლილი გზა. საბჭოთა კავშირის ხალხებმა სახელოვანი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით შესძლეს არა მარტო გადაელახათ სოციალისტური მშენებლობის მთელი შინაგანი სიძნელენი, არამედ სასიკვდილო ლახვარიც ჩაეცათ ჰიტლერელი აგრესორისათვის და ამრიგად უდიდესი დამსახურება გაეწიათ მთელი კაცობრიობისა და განსაკუთრებით პოლონელი ხალხისათვის. დღეს, როდესაც ამერიკელი იმპერიალისტები და ომის სხვა გამჩაღებლები ცდილობენ აღორძინონ მსოფლიოს დაპყრობის ჰიტლერული გეგმები, საბჭოთა კავშირი, როგორც მთელ მსოფლიოში მშვიდობის მთავარი ცენტრი და ბურჯი, მთელი მსოფლიოს ხალხების მშვიდობიან მისწრაფებათა იმედსა და დასაყრდენს წარმოადგენს.

პოლონეთის მუშათა კლასი მხარში ედგა რუსეთის მუშათა კლასსა და რუს ხალხს მეფის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში, 1905 წლის ღირსსახსოვარ დღეებში; პოლონეთის მუშათა კლასი ამაყობს იმით, რომ მისი საუკეთესო შვილები, როგორც ფელიქს ძერჟინსკი, მონაწილეობას იღებდნენ დიდ ოქტომბრის რევოლუციაში და ემსახურებოდნენ სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საქმეს. ოქტომბრის რევოლუციამ დამოუკიდებლობის უფლება მოუპოვა პოლონელ ხალხს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იჩაგრებოდა ცარიზმის მიერ. პოლონელი ხალხი მადლობას უძღვნის გმირ საბჭოთა არმიას ჰიტლერული ოკუპაციისაგან პოლონეთის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის, გადამწყვეტი დახმარებისათვის და ოდერამდე და ლუჟიცის ნისამდე ძველისძველი პოლონური მიწა-წყლის დაბრუნებისათვის.

პოლონეთის მუშათა კლასი, მთელი პოლონელი ხალხი ერთგული იქნებიან პოლონეთსა და სსრ კავშირს შორის კავშირისა და მეგობრობისა, ვინაიდან ამაში ხედავენ უშიშროების, მშვიდობისა და, დამოუკიდებლობის საუკეთესო გარანტიას.

პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით
ვლადისლავ გომულკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ბატონ სტალინს

მოსკოვი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის დღეს ჩრდილოეთ კორეის სახალხო კომიტეტის, კორეელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით უმხურვალეს მილოცვას გიძღვნით თქვენ, კაცობრიობის უდიდეს გენიოსს და მთელ გმირ საბჭოთა ხალხს.

მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთან ერთად კორეელი ხალხი 7 ნოემბერს ზეიმობს როგორც ერთ-ერთ თავის დიად დღესასწაულს.

იაპონელთა ბატონობის მძიმე წლებში, ოქტომბრის ბრძოლებში რუსი რევოლუციონერების მიერ გამოჩენილი გმირობითა და მამაცობით აღფრთოვანებულმა ჩვენმა ხალხმა მაღლა ააფრიალა იაპონელ დამმონებელთა წინააღმდეგ თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშა. კოლონიური მონობის საშინელ წყვდიადში კორეელ ხალხს სწამდა, რომ საბჭოთა კავშირი, მცირე ქვეყნების სუვერენიტეტის პრინციპის ერთგული, დაეხმარებოდა მას. ჩვენი ხალხის იმედი გამართლდა. სახელოვანმა საბჭოთა ჯარებმა თქვენი გენიალური წინამძღოლობით გაანადგურეს ჩვენი ხალხის საუკუნეობრივი მტრები — იაპონელი იმპერიალისტები, და ჩემს მშობლიურ მიწა-წყალზე ამობრწყინდა თავისუფლებისა და ბედნიერების მზე!

დიდო გენერალისიმუსო სტალინ! საბჭოთა სახელმწიფოს უანგარო დახმარებით ჩრდილოეთ კორეის ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია თავისი სამშობლოს ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებაში. ჩრდილოეთ კორეაში სახალხო კომიტეტებმა, ხალხის ხელისუფლების ნამდვილმა ორგანოებმა, ისტორიული დემოკრატიული გარდაქმნანი განახორციელეს, რომლებმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს კორეის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას. თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხი ყველა სიძნელესა და დაბრკოლებას სძლევს თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე.

დიდი საყოველთაო სახალხო დღესასწაულის გამო კორეელი ხალხის სახელით გულწრფელ მადლობას გიძღვნით იმ დახმარებისათვის, რომელსაც თქვენ ჩვენს ხალხს უწევთ.

პირობას გაძლევთ, დიდო გენერალისიმუსო, რომ კორეელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა კიდევ უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება.

ვისურვებ დიდი საბჭოთა კავშირის — მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ბურჯის სწრაფ აყვავებას!

გისურვებთ, გენერალისიმუსო სტალინ, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მუშაობას თქვენი ხალხისა და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საკეთილდღეოდ!

გაუმარჯოს დიდი საბჭოთა ხალხისა და კორეელი ხალხის სამარადისო მეგობრობას!

გაუმარჯოს დიდ გენერალისიმუს სტალინს — მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მასწავლებელსა და მეგობარს.

ჩრდილოეთ კორეის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე—კიმ ირ სენი

კრემლი, მოსკოვი, სსრ კავშირი

ამხანაგ ი. სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტი სიამაყით და სიხარულით მიესალმება საბჭოთა ხალხს და მის სწორუპოვარ პარტიას—საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და უერთდება მათ სახელოვანი ოქტომბრის რევოლუციის 30-ე წლისთავის დღესასწაულში. ომით გაჩანაგებულ მსოფლიოში, რომელიც გათიშულია ამერიკელი იმპერიალისტების მოქმედებით, რასაც ხელს უწყობს დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი გამოდის როგორც ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს და მთელი მსოფლიოს იმ ხალხთა ბელადი, რომლებსაც სძულთ ომი და უყვართ მშვიდობა.

როგორც პირველ ბრძოლებში ინტერვენტების ცდების წინააღმდეგ— მოესპოთ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო, როგორც სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, როგორც ომის დღეებში ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ უმაგალითო ეპიკური ბრძოლის დროს საბჭოთა სოციალისტურმა სისტემამ დაამტკიცა თავისი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე, ისე დღესაც დგას საბჭოთა კავშირი— დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის უძლეველი ბურჯი.

საბჭოთა ხალხის წარმომადგენლები, რომელნიც გაერთიანებული ერების ასამბლეაზე ნიღაბს ხდიან ამერიკელ და ბრიტანელ იმპერიალისტებს— ომის გამჩაღებლებსა და მათს ხელშემწყობთ—მემარჯვენე სოციალისტებს — და იცავენ ბერძენი, ებრაელი, ესპანელი და კოლონიური ხალხების უფლებებს, ასრულებენ დიად ისტორიულ ამოცანას, რაც საშუალებას იძლევა იმდენად დაირაზმონ და განმტკიცდნენ მშვიდობის მომხრე ძალები, რომ სრულიად გაანადგურონ რეაქციის გეგმები.

ჩვენს სამშობლოს წინაშე დასახული სერიოზული ეკონომიური სიძნელეების ვითარებაში ჩვენი პარტია და ყველა პროგრესული ადამიანი დიდ ბრიტანეთში ახალ იმედსა და შთაგონებას პოვებენ იმაში, თუ როგორ სწყვეტს ომისშემდგომი აღდგენის პრობლემებს საბჭოთა ხალხი. ჩვენ სიამაყით აღვნიშნავთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულ მრავალ დიად გამარჯვებას, რამაც უდიდესი წარმატებანი მოუპოვა საბჭოთა ხალხს მოკლე ხანში, გერმანიისა და იაპონიის სამხედრო დამარცხების შემდეგ.

ჩვენ განსაკუთრებით მივესალმებით თქვენს მეგობრულ სიტყვებს დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების სასარგებლოდ და ვაცხადებთ, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთვაჭრობის გაფართოება წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის საშუალებას, რომელიც არა მარტო დაგვეხმარება ზოგიერთი ჩვენი საკუთარი ეკონომიური სიძნელის დაძლევაში, არამედ ჩვენს ქვეყნებს შორის უფრო მტკიცე პოლიტიკურ ურთიერთგაგებასაც გამოიწვევს.

ახლა, როცა მთავრდება სამი ათწლეული, რომლებმაც მსოფლიო გარდაქმნეს, ჩვენ თქვენი საშუალებით, იოსებ სტალინ, სალამს ვუთვლით მთელ საბჭოთა ხალხს და მის მძლავრ კომუნისტურ პარტიას. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ბრიტანელი მუშები, რომლებიც სიხარულით მიესალმნენ 1917 წლის გამარჯვებას, რომლებიც დარაზმულნი იდგნენ 1920 წელს და ჩაშალეს იმ დროის ომის გამჩაღებელთა ვარაუდი, რომლებიც როგორც თანამოიარაღე ამხანაგები იბრძოდნენ ომის დღეებში მხეცური ფაშიზმის წინააღმდეგ, მძლავრ საბჭოთა ხალხთან და მთელი მსოფლიოს დემოკრატიის ძალებთან ერთად ჩაშლიან ახლანდელი იმპერიალისტების—ომის გამჩაღებლების გეგმებს.

გაუმარჯოს ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობასა და მეგობრობას!

გაუმარჯოს სახელოვან რუსეთის რევოლუციას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს იოსებ სტალინს!

ძმური სალამით

ჰარი პოლიტი

გენერალისიმუს სტალინს

სულითა და გულით გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით მთელ საბჭოთა ხალხს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან 30-ე წლისთავს.

ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიოს ჩაგრულ ერებს დაანახვა იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების გზა, ხოლო თქვენი სახელი გზის მანათობელი ვარსკვლავია ამ ერების ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

სამხრეთ კორეის ხალხის მასები, რომლებიც გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან ერის გამცემლებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ, დარწმუნებული არიან, რომ მსოფლიოს დიადი ანტიიმპერიალისტური დემოკრატიული ძალების დახმარებით, საბჭოთა კავშირის მეთაურობით, აგრეთვე თავისი ქვეყნის ხალხის დემოკრატიული ძალების დარაზმვით, კორეის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიზაციის საქმე განხორციელებულ იქნება.

გულწრფელად გისურვებთ თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს ყოველგვარ წარმატებას თქვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში, აგრეთვე მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში, ომის გამჩაღებლებისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამხრეთ კორეის დემოკრატიული ნაციონალური ფრონტის პრეზიდიუმი

სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ამოცანები საარჩევნო კამპანიაში

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიაა. არჩევნების წარმატებით ჩატარება ხელს შეუწყობს საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომ ამაღლებას, რაც მთელი ჩვენი ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ინტერესებს შეესაბამება.

დიდმა სამამულო ომმა, რომელიც თავს მოახვია ჩვენს სამშობლოს ჰიტლერულმა გერმანიამ, ხელი შეუშალა არჩევნების კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში ჩატარებას. ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, 1946 წელს, ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, ხოლო 1947 წლის თებერვალში—მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები. ამ არჩევნებმა ცხადჰყვეს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი მტკიცე დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო. მთელი მსოფლიო ერთხელ კიდევ დარწმუნდა საბჭოთა სოციალისტური წყობილების, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ძლიერებაში. უეჭველია, მომავალი არჩევნები კიდევ და კიდევ დაადასტურებენ საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულს ძლევამოსილი სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის ბრძნული პოლიტიკისადმი, გენიალური ბელადის დიდი სტალინისადმი.

საბჭოთა ხალხს ვერ შეაშინებს იმპერიალისტთა და რეაქციონერთა ვერავითარი მუქარა. ჩვენ ხალხს აქვს დიადი და ნათელი პერსპექტივები — სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ხუთწლიანი გეგმა, და თავისი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო მტკიცედ დარაზმული, ძლევამოსილად მიდის წინ — კომუნიზმისაკენ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები აამოქმედებს მილიონობით ადამიანს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის უკეთესად მოწყობისათვის. თუ რა დიდი მასშტაბის იქნება ამოცანა და რაოდენ რთულია მომავალი საარჩევნო კამპანია, ეს იქიდანაც სჩანს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში არჩეულ იქნება მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების ოცდაცხრა ათასამდე დეპუტატი.

პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც წინა არჩევნების პერიოდში საორგანიზაციო და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება დააგროვეს, მოწოდებული არიან ეს გამოცდილება უნარიანად გამოიყენონ მომავალი არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად.

სერიოზული ამოცანა აკისრიათ აგიტატორებს. მათი ვალია ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გააჩაღონ ამომრჩევლებში, დაწვრილებით გააცნონ მათ სტალინური კონსტიტუცია და საარჩევნო კანონი. აგიტატორთა ენერგიულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორ შეითვისებენ ამომრჩევლები არჩევნების დებულებას. ამასთანავე აგიტატორებს მოეთხოვებათ განუმარტონ მშრომელებს საბჭოთა კავშირის საარჩევნო სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური ქვეყნების საარჩევნო სისტემის წინაშე, საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობა ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველომ დიდ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში. ჩვენი რესპუბლიკა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაიქცა. განვითარდა ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება. აღიზარდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც ყველაფერზე მაღლა სამშობლოს ინტერესებს აყენებენ ამას მოწმობს ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრება საყოველთაო-სახალხო მოძრაობად იქცა. სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა საწარმომ ვადამდე შეასრულა ხუთწლედის მეორე წლის გეგმა. დიდი წარმატება მოიპოვეს საქართველოს კოლმეურნეობებმა. მათ უპატაკეს დიდ სტალინს, რომ ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით სრულდება. სამეურნეო წარმატებების მოპოვებაში, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, მასების დარაზმვაში თვალსაჩინო როლს ასრულებს პოლიტიკური აგიტაცია, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ახალ, მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. საჭიროა აგიტატორთა რიგები გავაძლიეროთ საწარმოთა სტახანოველებით, ნოვატორებით, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავე წარმომადგენლებით, რომლებიც პირადად უჩვენებენ საუკეთესო მაგალითს, თუ როგორ უნდა ბრძოლა საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ბოლშევიკურ აგიტაციას ახასიათებს ღრმა იდეურობა და პოლიტიკური სიმახვილე. აგიტაციის შინაარსი, ფორმები და მეთოდები იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორია საბრძოლო კონკრეტული ამოცანები. მაგრამ უცვლელი რჩება ბოლშევიკური აგიტაციის ძირითადი ხარისხობრივი ნიშნები: იდეურობა, სიმართლე, კონკრეტულობა, ქმედითი ხასიათი. ბოლშევიკური აგიტაციის ძალა ცხოვრებასთან მის მჭიდრო კავშირშია. არჩევნებისათვის მზადების დღეებში საგიტაციო მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს მშრომელთა შემდგომ მობილიზაციას ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად, სოფლად სამეურნეო წლის წარმატებით დასამთავრებლად და მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის პირობების შესაქმნელად.

აგიტაცია არ შეიძლება ქმედითი იყოს, თუ აგიტატორი არ ითვალისწინებს ვითარების თავისებურებას, ანგარიშს არ უწევს მშრომელთა ამა თუ იმ კატეგორიის ინტერესებს, რომელთა შორისაც მას უხდება მუშაობა. აგიტაცია უნდა ავაგოთ დიფერენცირებულად, ადამიანების ასაკის, ცხოვრების გამოცდილების, პოლიტიკური და კულტურული დონის გათვალისწინებით.

საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეთმოს საერთაშორისო მდგომარეობისა და მიმდინარე პოლიტიკის საკითხების გაშუქებას. ეს საკითხები საბჭოთა ადამიანებს უაღრესად აინტერესებთ. დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ხალხში რამდენიმე ქვეყნის კომუნისტური პარტიის საინფორმაციო თათბირმა, მის მიერ მიღებულმა დეკლარაციამ. უნდა განვუმარტოთ მასებს ის დაძაბული ბრძოლა, რაც ამჟამად მიმდინარეობს მსოფლიოში პროგრესულ-დემოკრატიულ ძალებსა და იმპერიალისტურ-რეაქციულ ძალებს შორის. ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე და ამხანაგ ა. ა. ჟდანოვის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“ რამდენიმე ქვეყნის კომუნისტური პარტიის საინფორმაციო თათბირზე—აგიტატორთა მუდამ სახელმძღვანელო დოკუმენტებია.

პოლიტიკური აგიტაციის დონის ამაღლება მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული კომიტეტების მხრივ აგიტატორთა კადრებისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას. პარტიის რაიკომები და პარტიული ორგანიზაციები ხშირად უნდა იხილავდნენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს, ისმენდნენ აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა ანგარიშებს. აგიტკოლექტივების მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული აგიტაციის ხარისხი, მისი ქმედითი ხასიათი. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან დაეხმარონ აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს, ზრუნავდნენ, რათა აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა სემინარები შინაარსიანად და ნაყოფიერად ტარდებოდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საუბრის გეგმის დამუშავებას, დიაგრამებისათვის ციფრების შერჩევას და სხვა.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის პირველი ეტაპია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების ფართო ახსნა-განმარტება. დიდი მუშაობა უნდა გაჩაღდეს საარჩევნო უბნებში, როცა ისინი შეიქმნებიან. დაუყოვნებლივ აღდგენილ და სათანადოდ მოწყობილ უნდა იქნას საგიტაციო პუნქტები. აგიტპუნქტებში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს ლექციები, მოხსენებები, საუბრები. მაგრამ ეს არ არის საკმაო. სოფლად ბევრი ამომრჩეველი აგიტპუნქტიდან დაშორებით ცხოვრობს. მათ შეიძლება გაუძნელდეთ აგიტპუნქტში მისვლა. ასეთ შემთხვევაში აგიტატორი ვალდებულია თვითონ მივიდეს ამომრჩეველთან. ფართოდ უნდა გაიშალოს პოლიტიკური აგიტაცია ამომრჩეველთა ბინებზე, ხშირად მოეწყოს მათთან ინდივიდუალური საუბრები.

მრავალი მასობრივი ღონისძიება დამოკიდებულია ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, აგიტპუნქტების გამგეთა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა, აგიტატორთა და პროპაგანდისტთა ინიციატივაზე. აგიტავტომობილების, მოძრავი ბიბლიოთეკების, მოძრავი კინოდანადგარების, რადიოგადაცემათა კოლექტიური მოსმენის ორგანიზაცია, პლაკატების, ლოზუნგების და სხვა სახის თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებათა გამოყენება,—ინიციატივის საქმეა.

პარტიული კაბინეტების საქმიანობა საარჩევნო კამპანიის დროს სცილდება მათი ჩვეულებრივი მუშაობის ფარგლებს. პარტკაბინეტებს ბევრი რამ ევალებათ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით. მათ სისტემატური ინსტრუქტაჟი უნდა გაუწიონ აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს, აგიტპუნქტების გამგეებს და აგიტატორებს, უზრუნველჰყონ ისინი ლიტერატურით, მასალებით, მოაწყონ თემატიკური გამოფენები, ვიტრინები და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან იზრუნონ იმისათვის, რომ მთელი საარჩევნო ლიტერატურა, გაზეთები, ჟურნალები დროულად აღწევდეს სოფლამდე, აგიტატორამდე, ამომრჩევლამდე.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობის გაშლასთან დაკავშირებით ფართოდ უნდა გავაცნოთ მშრომელებს საბჭოთა კავშირის მიღწევები, ჩვენი რესპუბლიკის წარმატებანი ახალი ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში.

მზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის თანდათან ჩაღდება. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში შეარჩიეს აგიტატორთა ახალი დამატებითი კადრები, ჩაატარეს პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირები, მოაწყეს აგიტატორთა შეკრება. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წარმატებით ჩატარებას.

საქართველოს მშრომელნი, ქართველი ხალხის სასიქადულო შვილის ლ. პ. ბერიას მიერ სტალინური ბრძოლისა და მუშაობის ტრადიციებზე აღზრდილნი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ყველა ამოცანას. ადგილობრივ საბჭოებში აირჩევენ სამშობლოს ერთგულ შვილებს, რითაც ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ თავიანთ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მტკიცე დარაზმულობას ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

ვ. ბურჯანაძე

გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობს ამერიკის ექსპანსიას კორეაში

ნიუ-იორკი, 5 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა კორეის საკითხის განხილვა. როგორც უკვე აღვნიშნავდით, გუშინ ამერიკის დელეგაციამ და იმათ, ვინც მის ნებას მორჩილად ასრულებს, უარი სთქვეს ეს საკითხი არსებითად განეხილათ, ვინაიდან მათ არ ძალუძდათ უარეყოთ საბჭოთა კავშირისა და მთელი რიგი სხვა დელეგაციების მოსაზრებანი, რომლებიც მოითხოვდნენ კორეიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას და თვით კორეელი ხალხისათვის თავისი ბედის გადაწყვეტის შესაძლებლობის მინიჭებას. იმავე მიზეზით ისინი წინაღუდგნენ კორეელი ხალხის წარმომადგენელთა მოწვევას გენერალურ ასამბლეაზე განსახილველი საკითხის შესახებ მათი თვალსაზრისის გამოსარკვევად.

ამერიკის დელეგაციამ მთელი თავისი ძალღონე იქითკენ მიმართა, რომ პოლიტიკური კომიტეტისათვის თავს მოეხვია გადაწყვეტილება ეგრეთწოდებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხთა დროებითი კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც მოხერხებული საფარი იქნებოდა ამერიკის ჩარევისათვის კორეის საშინაო საქმეებში.

დღევანდელ სხდომაზე კენჭი უყარეს საბჭოთა წინადადებას, რომელიც ითვალისწინებს კორეიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას 1948 წლის დამდეგს, რათა ამის შემდეგ კორეაში ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები და შეიქმნას ნაციონალური მთავრობა. ამ წინადადებას ხმა მისცეს სსრ კავშირისა და სხვა სლავური ქვეყნების დელეგაციებმა და ეგვიპტის დელეგაციამ. ამ წინადადების წინააღმდეგ მიცემულ იქნა ოცი ხმა, თავი შეიკავა 7 დელეგაციამ, მათ შორის ნორვეგიის, დანიის, ერაყის, ირანის, ეთიოპიისა და შვეციის დელეგაციებმა. 24 დელეგაცია კენჭის ყრაში მონაწილეობას არ იღებდა. ამრიგად, საბჭოთა წინადადება უარყოფილ იქნა, თუმცა მისმა მოწინააღმდეგეებმა შეაგროვეს ერთმესამედზე ცოტა მეტი ხმა. ეს გარემოება მჭევრმეტყველურად მოწმობს, რომ იმ დელეგაციათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებსაც ეშინიათ აშკარად გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილებიდან, ამავე დროს ვერ ბედავენ გამოვიდნენ სამართლიანი საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ, რომლებიც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ფართო მხარდაჭერით სარგებლობენ.

შემდეგ კენჭი უყარეს რეზოლუციის ამერიკულ პროექტს და მის ფილიპინურ, ინდურ, ჩინურ და ფრანგულ შესწორებებს, რომლებიც არ სცვლიან ამ პროექტის არსს. ამერიკული პროექტით გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული კომისიის შექმნა ავსტრალიის, კანადის, ჩინეთის, სალვადორის, საფრანგეთის, ინდოეთის, ფილიპინების, სირიისა და უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენელთა შემადგენლობით. ამ კომისიას ენიჭება ფართო რწმუნებანი, რომლებიც მას საშუალებას აძლევენ კონტროლი გაუწიოს არჩევნების ჩატარებას, მთავრობის ჩამოყალიბებას, შეიარაღებული ძალების შექმნას. მეორე მხრივ, საოკუპაციო ჯარების გაყვანა კორეიდან ფაქტიურად გადადებულია გაურკვეველი ვადით, — ჯარების გაყვანის ზუსტი თარიღი პროექტში არ არის აღნიშნული.

კენჭის ყრის წინ სსრ კავშირისა და სხვა სლავური ქვეყნების დელეგაციებმა უარი სთქვეს ამერიკული პროექტისა და მისი შესწორებების კენჭის ყრაში მონაწილეობაზე იმის გამო, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა და გენერალურმა ასამბლეამ არ მოუსმინეს კორეელი ხალხის წარმომადგენლებს. უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგატმა მანუილსკიმ აღნიშნა, რომ ამერიკული პროექტი ითვალისწინებს კორეაში მარიონეტული სახელმწიფოს შექმნას და კორეის გადაქცევას სამხედრო ბაზად, და განაცხადა აგრეთვე, რომ უკრაინის სს რესპუბლიკა უარს ამბობს ნავარაუდევ კომისიაში მონაწილეობაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს კომისია, რომელიც მოწოდებულია შეასრულოს კორეაში ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკა, დამღუპველია კორეელი ხალხისათვის.

ხმის უმრავლესობით კომიტეტმა მოიწონა ამერიკის დელეგაციისათვის სასურველი გადაწყვეტილება.

უშიშროების საბჭოს „სასესიათაშორისო კომიტეტით" შეცვლის გეგმა

შემდეგ პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა რეზოლუციის პროექტის განხილვას ეგრეთწოდებული „სასესიათაშორისო კომიტეტის" შექმნის შესახებ, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ „დროებით კომიტეტს" და „მცირე ასამბლეას". ეს პროექტი მოამზადა სპეციალურმა ქვეკომიტეტმა, რომელსაც 16 სხდომა ჰქონდა. როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა უარი სთქვეს ამ ქვეკომიტეტის მუშაობაში მონაწილეობაზე, ვინაიდან ისინი პრინციპულად გამოდიოდნენ „სასესიათაშორისო კომიტეტის" შექმნის წინადადების წინააღმდეგ, რომელმაც უნდა შესცვალოს უშიშროების საბჭო. ამერიკის პრესა ცდილობდა საქმე იმგვარად წარმოედგინა, თითქოს ქვეკომიტეტმა მნიშვნელოვნად შესცვალა თავდაპირველი ამერიკული პროექტი, შეზღუდა მისი ფუნქციები და რწმუნებანი. მაგრამ შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ქვეკომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი ძირითადად არ განსხვავდება თავდაპირველი ამერიკული პროექტისაგან და მხოლოდ მცირე ფორმალურ ცვლილებებს შეიცავს.

დღეს პირველი გამოვიდა ავსტრალიის დელეგატი ევატი, რომელიც აგრძელებდა იმავე გზას და ყოველმხრივ ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ „სასესიათაშორისო კომიტეტი", რომელიც, ვითომდა, იქმნება „ექსპერიმენტის" სახით, გენერალური ასამბლეის მხოლოდ დამხმარე ორგანო იქნება, რომ იგი არ შესცვლის უშიშროების საბჭოს და რომ ახალი ორგანოს შექმნა წესდებას არ ეწინააღმდეგება. მაგრამ ევატის შემდეგ გამოსულმა პანამის დელეგატმა გაუფრთხილებლად წამოროშა ის, რის დაფარვასაც ცდილობდნენ პროექტის ავტორები. იგი მოუწოდებდა „სასესიათაშორისო კომიტეტის" რწმუნებათა გაფართოებისაკენ და ამტკიცებდა, რომ ეს, ვითომდა, საჭიროა იმისათვის, რომ უშიშროების საბჭოში მოქმედებს დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპი.

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი გამოვიდა ვრცელი და ბრწყინვალე სიტყვით, რომლითაც მთლიანად გამოამჟღავნა უშიშროების საბჭოს იმ ახალი ორგანოთი შეცვლის ამერიკული გეგმის დამცველთა უხეში მანევრები, რომელშიც გამოყენებული არ იქნება დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპი. მან ცხადჰყო, რომ ეგრეთწოდებული სასესიათაშორისო კომიტეტის შექმნის საკითხი თავიდანვე ორგანიულად იყო დაკავშირებული უშიშროების საბჭოს საკითხთან და ამერიკის დელეგაციას, რომელიც მოითხოვდა ამ კომიტეტის შექმნას, აშკარად ჰქონდა მხედველობაში მისი დაპირისპირება უშიშროების საბჭოსადმი.

ა. ი. ვიშინსკიმ ვრცელი ანალიზი გაუკეთა უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის ფუნქციებსა და იურისდიქციას და დაამტკიცა, რომ მსჯელობა თითქოს „სასესიათაშორისო კომიტეტი" იმ სახით, როგორც ეს განზრახული აქვს ამერიკის დელეგაციას, მარტო დამხმარე ორგანო იქნებაო, მხოლოდ პოლიტიკური ფანდია, ნავარაუდევი იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი. ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომიტეტის წევრთა უმრავლესობა შესძლებს ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღებას, როგორსაც იგი მოისურვებს მიიღოს, და დამსწრენი გააფრთხილა იმ სერიოზული შედეგების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს წესდების ასეთ დარღვევას.

— ჩვენ ვალდებული ვართ ხმამაღლა ვთქვათ, — განაცხადა მან, — რომ ამ ნაბიჯს შეუძლია უაღრესად სერიოზული გავლენა მოახდინოს თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბედზე. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ წინადადება „სასესიათაშორისო კომიტეტის" შექმნის შესახებ იზოლირებული როდია. მის გვერდით არის სხვა წინადადებები, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო თანამშრომლობის იმ პრინციპების სალიკვიდაციოდ, რომლებიც აღბეჭდილია თეირანში, იალტასა და პოტსდამში მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებებში. ამ საერთაშორისო თანამშრომლობის ქვაკუთხედია უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც მშვიდობის ბედს შეეხებიან.

„დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპი, — განაგრძო ვიშინსკიმ, — შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად ინტერესებს. ამ პრინციპის დაცვაზეა დამოკიდებული ამ ორგანიზაციის, როგორც მშვიდობის დაცვისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანოს, თვით არსებობა. ბრძოლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ პრინციპის სასარგებლოდ თუ წინააღმდეგ დაიწყო ორგანიზაციის არსებობის პირველივე დღეებიდან. და ეს შემთხვევითი როდი იყო. ამ ბრძოლის ფესვები უნდა ვეძიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთ. ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ომისშემდგომ პერიოდში ამათუიმ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ გეზსა და ტენდენციებს შორის ძირითად წინააღმდეგობათა გამოხატულებას. ერთი პოლიტიკური გეზი ისწრაფვის საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისაკენ და დასაყრდენს ხედავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების განმტკიცებაში, მეორე პოლიტიკური გეზი მოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესუსტების მიმართულებით. ეს უნდა ვთქვათ პატიოსნად და აშკარად. სიტყვით თუ არა, საქმით ამ გეზის წარმომადგენლებს იერიში მიაქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა იმის შედეგად, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში და მათს მხარდამჭერ ქვეყნებში საგარეო პოლიტიკის კურსი, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობას ითვალისწინებს, შესცვალა ახალმა კურსმა, რომელმაც, როგორც დალესმა სთქვა, უარი განაცხადა თეირანის, პოტსდამის და იალტის სისტემაზე.

ვიშინსკიმ ცხადჰყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოები და განსაკუთრებით უშიშროების საბჭო ხელს უშლიან ამ „ახალი კურსის" წარმატებით გატარებას. სწორედ ამიტომ ასეთი კურსის სულისჩამდგმელები და გამტარებლები ყოველმხრივ ცდილობენ გვერდი აუარონ, შესცვალონ, დაანგრიონ უშიშროების საბჭო.

დასასრულ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს „სასესიათაშორისო კომიტეტის" შექმნის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ კომიტეტის შექმნა აშკარად ეწინააღმდეგება წესდებას, არღვევს მის ძირითად პრინციპებს, ემუქრება თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბედს.

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი პირდაპირობითა და ურყევი არგუმენტაციით. დამახასიათებელია, რომ ეგვიპტის დელეგატმა იქვე განაცხადა, ეჭვი მეპარება, არის თუ არა „სასესიათაშორისო კომიტეტის" შექმნა კონსტიტუციური აქტიო. მან აღნიშნა, რომ ასეთი კომიტეტის შექმნის საწინააღმდეგო არგუმენტები ჯერ კიდევ უარყოფილი არ არის და „კვლავ ფეხზე დგას". ეგვიპტის დელეგატმა სთქვა, რომ იგი თავს შეიკავებს ამ საკითხზე კენჭის ყრაში მონაწილეობისაგან.

დალესი ამახინჯებს საკუთარ ციტატებს

ასეთ ვითარებაში იმ ახალი ორგანოს შექმნის დამცველები, რომელიც შესცვლიდა უშიშროების საბჭოს, იძულებული გახდნენ თავდაცვითი მანევრისათვის მიემართნათ.

დალესმა შენიშვნა გააკეთა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვებსა და პოლიტიკაზე განცხადება შეუძლიათ გააკეთონ მხოლოდ პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაიწყო ვაშინგტონის საგარეო-პოლიტიკური გეზის ყოველმხრივ გამართლება. დალესმა ვერ შესძლო უარეყო, რომ მან კომიტეტში საჯაროდ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობენ „თეირანის, იალტისა და პოტსდამის სისტემაზე" და შეეცადა უხეშად დაემახინჯებინა ციტატები საკუთარი სიტყვიდან. მან განაცხადა, თითქოს ამერიკის მთავრობა გამოდის მხოლოდ „საიდუმლო კონფერენციების ჩატარების მეთოდების წინააღმდეგ, რომლებზეც სამი სახელმწიფო სწყვეტს უფრო სუსტი სახელმწიფოების ბედს".

დალესის შემდეგ გამოსული ევატი (ავსტრალია) იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ვიშინსკის სერიოზული, ძლიერი, უაღრესად საღი შენიშვნები უდავოა". მაგრამ იგი კვლავ ამტკიცებდა, რომ „სასესიათაშორისო კომიტეტი" თითქოს არ არის ისეთი ორგანო, რომელიც მოწოდებულია დაუპირისპირდეს უშიშროების საბჭოს. ამან ხელი ვერ შეუშალა ევატს იქვე გაეკეთებინა პირდაპირ საწინააღმდეგო განცხადება. მან უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა შეადარა ორ სახელოსნოს და სთქვა: „წარმოიდგინეთ, რომ ერთ-ერთი ეს სახელოსნო დაიხურა. აშკარაა, მყიდველი მეორეში წავა". ამრიგად, ევატმა უნებლიედ გასცა იმათი ზრახვები, ვინც ოცნებობს უშიშროების საბჭოს „მოკვლას", მის შეცვლას ახალი ორგანოთი, სადაც გამოყენებული არ იქნება დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპი. ევატმა საბჭოთა დელეგაციას მიმართა ფარისევლური მოწოდებით მონაწილეობა მიიღოს „სასესიათაშორისო კომიტეტის" მუშაობაში. მან ეს მოწოდება რამდენჯერმე გაიმეორა, იგრძნობოდა, რომ ამერიკის გეგმის დამცველები შეშფოთებული იყვნენ იმით, რომ შესაძლებელია სსრ კავშირმა უარი თქვას „სასესიათაშორისო კომიტეტში" მონაწილეობაზე, ვინაიდან სსრ კავშირის მონაწილეობის მიუღებლად ასეთი ორგანო მაშინვე დაჰკარგავდა წონას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში.

ჩინეთის, არგენტინის, ინდოეთისა და დანიის წარმომადგენლები მექანიკურად იმეორებდნენ „სასესიათაშორისო კომიტეტის" შექმნის მთავარ მომხრეთა მსჯელობას და აცხადებდნენ, თითქოს ასეთი კომიტეტის შექმნა არ ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და რომ „სასესიათაშორისო კომიტეტი" გენერალური ასამბლეის მხოლოდ დამხმარე ორგანო იქნება.

ამერიკისა და ავსტრალიის დელეგაციათა მანევრების მხილება

მეორედ გამოსულმა ა. ი. ვიშინსკიმ ამხილა დალესისა და ევატის მანევრები, რისაც იმისათვის მიმართავენ, რომ დაფარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევა. ვიშინსკიმ დამსწრეთ მოაგონა, რომ ევატმა უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა ორ სახელოსნოს შეადარა, და განაცხადა, რომ ეს მაგალითი ძალიან დამახასიათებელია, იგი აშკარად ამჟღავნებს ევატის ფარულ ზრახვებს, რომელიც ფიქრობს, რომ ერთი „სახელოსნო"—უშიშროების საბჭო—უნდა დაიხუროს, მაშინ, ბუნებრივია, „მყიდველები" წავლენ მეორე „სახელოსნოში"—ამ მეორე „სახელოსნოს" წარმოადგენს „სასესიათაშორისო კომიტეტი". ჩვენის აზრით, ეს ანალოგია სწორი არ არის. უშიშროების საბჭო დახურული სახელოსნო როდია. უშიშროების საბჭო არის უშიშროების საბჭო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ორგანო, ურომლისოდაც ცალკე ვერ წავალთ. როგორც ვხედავთ, ეს მაინც არ გამორიცხავს ცდებს ცალკე წავიდნენ უშიშროების საბჭოს გარეშე, ანდა გვერდი აუარონ მას. სწორედ ასეთი მისწრაფება გამოსჭვივის მთელ რეზოლუციაში, რომელიც აქ საკმაოდ დეტალურად გაირჩა.

ევატი საბჭოთა კავშირს მოუწოდებს უარი არ სთქვას „სასესიათაშორისო კომიტეტის" მუშაობაში მონაწილეობაზე, მაგრამ თავის თავისთვის ანგარიში უნდა მიეცა იმაში, თუ რას ნიშნავს ყოველივე რაც მე აქამდე ვთქვი სსრ კავშირის სახელით ამ კომიტეტის შესახებ—საჭირო იყო მას თავისი ღონისძიება მიემართა არა ამგვარი მოწოდებისაკენ, არამედ იქითკენ, რომ ახალი ორგანოს შექმნა მოეწყოს წესდების შესაბამისად და არ წარმოადგენდეს ამ წესდების დარღვევას. ბუნებრივია, რომ ასეთ უხეშ დარღვევას არ შეუძლია არ შეჰქმნას დაბრკოლება ამგვარ მუშაობაში მონაწილეობისათვის.

ევატი კითხულობს, რაში მდგომარეობს ეს დარღვევები. მე ისინი ჩამოვთვალე. შემიძლია გაგახსენოთ, რომ, ჯერ ერთი, „სასესიათაშორისო კომიტეტის" შექმნის წინადადების ავტორები სრულიად არასწორად იმოწმებენ წესდების 22-ე მუხლს. ეს მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ ნამდვილი დამხმარე ორგანოების შექმნას, რომლებთანაც „სასესიათაშორისო კომიტეტს" საერთო არაფერი აქვს. მეორე, ირღვევა 11, 13, 24, 34 და მთელი რიგი სხვა მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს კომპეტენციას და ამ ორგანოების ურთიერთობას.

ამტკიცებენ, რომ „სასესიათაშორისო კომიტეტი" იქმნება მხოლოდ ექსპერიმენტის სახით. მაგრამ იმავე ევატმა უკვე ახლა იცის, რომ ერთი წლის შემდეგ ამ „ექსპერიმენტს" გამოაცხადებენ წარმატებითად და დროებითი კომიტეტი მუდმივად გადაიქცევა. ყველაფერი წინასწარ აწონილია, გაზომილია და შეფასებულია და ლაპარაკი ექსპერიმენტის შესახებ კვლავ წარმოადგენს ისევ პოლიტიკურ მანევრს—ერთერთ ისეთ მანევრს, რომელიც უნდა გააკეთონ იმისათვის, რათა გაჰფანტონ ეგვიპტის წარმომადგენლის მსგავსი ადამიანების ეჭვი და შიში. ვფიქრობ, დაეჭვებული ბევრი სხვაც არის, თუმცა, რასაკვირველია, ყველას არა აქვს შესაძლებლობა აქ თავისი ეჭვი აშკარად გამოსთქვას.

დალესმა აქ ახლებურად განმარტა თავისი წინანდელი ლოზუნგი: „არ მოხდება დაბრუნება თეირანის, იალტისა და პოტსდამისაკენ". მაგრამ აი რა სთქვა მან ნამდვილად—ვკითხულობ სტენოგრამას: „მოსკოვში სახელმწიფო მდივანმა მარშალმა განაცხადა: „უკანდახევა იალტისაკენ არ მოხდება". ეს განცხადება კვლავ ძალაშია, და მე ვიცი, რომ გამოვთქვამ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის დიდი უმრავლესობის თვალსაზრისს, როცა ვამბობ, რომ ჩვენ არ დავიხევთ თეირანის, იალტისა და პოტსდამის სისტემისაკენ, რომელიც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო და, რასაკვირველია, გამოწვეული იყო ომის საჭიროებით. მაგრამ მშვიდობიანობის დროს ჩვენ გვსურს ბოლომდე გამოვიყენოთ სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპი და გავლენა მოვახდინოთ ამ პრობლემებზე მსოფლიო საზოგადოებრიობის მორალური განაჩენის გამოყენებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ უმნიშვნელოვანესი ასამბლეის მეშვეობით".

უწინარეს ყოვლისა, სრულიად შეუწყნარებელია, რომ დალესმა „თეირანის, იალტისა და პოტსდამის სისტემა", მაშასადამე, ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ სისტემას, დაუპირისპირა სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპს. სრულიად შეუწყნარებელია აგრეთვე დალესის მოწოდება, „გავლენა მოვახდინოთ ამ პრობლემებზე მსოფლიო საზოგადოებრიობის მორალური განაჩენის გამოყენებით".

შემდეგ ჩემ მიერ გამოქვეყნებული ტექსტი სრულიად არაორჭოფულად ცხადჰყოფს, რომ დალესმა უარი სთქვა არა მარტო რაიმე ფორმალურ პირობაზე, არამედ თვით იმ პრინციპებზეც, რომლებსაც შეიცავენ და რომლებიც გამოთქმულია თეირანის, იალტისა და პოტსდამის მსოფლიო-ისტორიულ გადაწყვეტილებებში. მოსაზრებანი, რომლებიც აქ დალესმა წარმოადგინა, არსებითად, ვერაფერს ვერ აბათილებენ.

იგი ამბობს, რომ მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების უარი საიდუმლო დახურული კონფერენციების მოწყობის მეთოდზე. მაგრამ ნება მიბოძეთ, — განაცხადა ვიშინსკიმ, მიმართა რა დალესს, — ეჭვი შევიტანო, რომ ამჟამად ასეთი კონფერენციები არ იმართება. შეიძლებოდა აქ მოგვეყვანა სხვადასხვაგვარი — ფორმალური და არაფორმალური — გამოუქვეყნებელი მოლაპარაკებისა და შეთანხმების მაგალითები. კერძოდ, მოლაპარაკება, რომელიც წინ უძღოდა მარშალის გეგმის გამოცხადებას, და მოლაპარაკება, რომელიც მას მოჰყვა, თავისთავად მეტყველებს. რა არის ეს, საიდუმლო თუ არასაიდუმლო შეთანხმება? რა არის ეს, საიდუმლო თუ არასაიდუმლო მოლაპარაკება? ცხადია, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თეირანში, იალტასა და პოტსდამში სამი დიდი სახელმწიფო ერთმანეთს უთანხმდებოდა საარსებო საკითხებზე, რომლებიც მათს საბრძოლო თანამშრომლობას განსაზღვრავდნენ, და სახავდა მშვიდობიანი დროის თანამშრომლობის პროგრამას. ამჟამად კი შეთანხმება ხდება სხვა მიმართულებით: ამერიკის შეერთებული შტატები, აგრეთვე დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მოლაპარაკებას აწარმოებენ, როგორც ეს იყო მარშალის გეგმის საკითხზე, სსრ კავშირის ზურგს უკან და აწყობენ სხვადასხვა პოლიტიკურ მანევრებს. ამრიგად, დალესის განმარტება, რომ მოწოდება—არ დაუბრუნდნენ თეირანს, იალტასა და პოტსდამს, ნიშნავს მხოლოდ მოწოდებას—უარი სთქვან საიდუმლო შეთანხმებაზე, სრულიადაც არ არის დამაჯერებელი, რადგან სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს.

შემდეგ დალესი ამბობს, ამერიკის დელეგაცია სულაც არ ფიქრობს იმას, რომ „მოჰკლას" უშიშროების საბჭო, მაგრამ ასეთი რწმენება, რასაკვირველია, არ შეიძლება დავიჯეროთ. თქვენ რომ სწორედ უშიშროების საბჭოს მოკვლა არ გსურდეთ, ახალ კომიტეტს არ აღჭურავდით ისეთი რწმუნებებით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ უშიშროების საბჭოს ეკუთვნის. ვიშინსკიმ გამოაქვეყნა ქვეკომიტეტის მოხსენების ნაწყვეტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ავსტრალიის წარმომადგენელი ქვეკომიტეტში მოითხოვდა მიეცათ „სასესიათაშორისო კომიტეტისათვის" იმის შესაძლებლობა, რომ განეხილა დავა და სიტუაციები, რომელთა შესახებაც უშიშროების საბჭომ ვერ მიიღო გადაწყვეტილება.

— მაშ რა არის ეს?—განაგრძო ვიშინსკიმ,—უშიშროების საბჭომ ვერ გადასწყვიტა დავა თუ სიტუაცია, რომელიც წესდებით მის კომპეტენციას შეადგენს, და აი ასპარეზზე გამოდის „სასესიათაშორისო კომიტეტი" და იწყებს ასეთი დავისა თუ სიტუაციის განხილვას. აი რა წინადადება წამოაყენა ევატმა ქვეკომიტეტში. ავსტრალიის დელეგაციის ეს წინადადება იმდენად აშკარად ეწინააღმდეგებოდა წესდებას, რომ მან მხარდამჭერი ვერ ჰპოვა ამ ქვეკომიტეტშიც კი, რომლის წევრებიც მხარს უჭერდნენ სასესიათაშორისო კომიტეტის შექმნის იდეას. მაგრამ დალესმა იცის, რომ ევატი პირდაპირ მოითხოვდა „სასესიათაშორისო კომიტეტის" სწორედ იმ რწმუნებებით აღჭურვას, რომლებიც უშიშროების საბჭოს აქვს. იგი ევატთან ერთად სახავდა ამ რწმუნებებს. ყოველივე ამის შემდეგ დალესი და ევატი გვეუბნებიან: „ჩვენ უშიშროების საბჭოს გვერდის ავლა აზრადაც არ მოგვსვლიათ". რასაკვირველია, ასეთ განცხადებას სერიოზულად ვერ მოვეკიდებით.

შემდეგ ვიშინსკიმ უარჰყო ჩინეთის დელეგატის ველინგტონ კუს მტკიცება, თითქოს „სასესიათაშორისო კომიტეტი" მხოლოდ დამხმარე ორგანო იყოს.

— ველინგტონ კუ გვეკითხება, განა შეიძლება დავეჭვდეთ, რომ გენერალურ ასამბლეას უფლება აქვს დააარსოს დამხმარე ორგანოები? —სთქვა ვიშინსკიმ.—რასაკვირველია, გენერალურ ასამბლეას უფლება აქვს დააარსოს ასეთი ორგანოები, მაგრამ განა დამხმარე ორგანოა „სასესიათაშორისო კომიტეტი" იმ ფუნქციებით, რომლებსაც მას ახლა ანიჭებენ? რასაკვირველია, არა. ამ კომიტეტის ფუნქციები ძალიან შორდება გენერალური ასამბლეის მცირე „დამხმარების" ფარგლებს, რის შესახებაც ასე მორიდებულად ილაპარაკა აქ პატივცემულმა ჩინეთის დელეგატმა. „სასესიათაშორისო კომიტეტი", არსებითად, ახალი ორგანოა, რომელსაც ენიჭება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი, მთავარი ორგანოს მნიშვნელობა როგორც უშიშროების საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, საერთაშორისო სასამართლოს, სამდივნოს, ბოლოს თვით გენერალურ ასამბლეას. ამ დებულების დასაცავად ჩვენი მოსაზრებანი მოვიყვანეთ. აქ თვითეულ ჩვენგანს საკმაო პოლიტიკური სიმწიფე აქვს. ყველასთვის სრულიად აშკარაა, თუ რა პოლიტიკური ხაზი ხელმძღვანელობს ადამიანთა შეგნებას ამ კომიტეტში მუშაობის დროს. მე არ ვფიქრობ, რომ შევძლებ რწმენა შევაცვლევინო ჩემს მოწინააღმდეგეთ, მაგრამ არც მათ შეუძლიათ ჰქონდეთ რაიმე იმედი, რომ ისინი შემაცვლევინებენ რწმენას თუნდაც ამ საკითხში. ამიტომ, ვუპასუხებ რა კუს შენიშვნებზე, კვლავ უნდა აღვნიშნო ხაზგასმით, რომ „სასესიათაშორისო კომიტეტს" კონსტიტუციური საფუძვლები არ გააჩნია. სწორი არ არის, იგი შევადაროთ ჩვეულებრივ კომიტეტს, რომელიც გენერალური ასამბლეის უბრალო დამხმარე ორგანოს წარმოადგენს. ჩემი აზრით, მთელი ჩვენი დავა არის ეს ძირითადი დებულება: რა იქნება ეს ახალი ორგანო? იქნება იგი დამხმარე კომიტეტი შეზღუდული ფუნქციებით, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანო, რაც გათვალისწინებული არ არის წესდებით და რომლის შექმნაც წესდების დარღვევაა?

დასასრულ ვიშინსკიმ სთქვა:

— თქვენ გსურთ შექმნათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწორედ მთავარი ორგანო, მაგრამ მაშინ თქვენ მოვალენი იქნებით, ვალდებული იქნებით, წესდების თანახმად, დააყენოთ თვით წესდების შეცვლის საკითხი, მაგრამ თქვენ ამჯობინებთ ჩაიდინოთ ახალი დარღვევა ამ საკითხში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ, არ აყენებთ რა წესდების შეცვლის საკითხს, გსურთ უკანა კარიდან გაატაროთ თქვენი გადაწყვეტილება, რომელიც ფაქტიურად წესდების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ასეთია საბჭოთა დელეგაციის პოზიცია ამ ეგრეთწოდებული „სასესიათაშორისო კომიტეტის" შესახებ.

დღევანდელ სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის დელეგატები. ისინიც კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ „სასესიათაშორისო კომიტეტის" შექმნისა და ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ეს ახალი ორგანო იქმნება უშიშროების საბჭოს შესაცვლელად.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო

ჰოლანდია

ჰააგა, 9 ნოემბერი. (საქდესი). ჰოლანდიის გაზეთების უმრავლესობამ უაღრესად თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შინაარსი. გაზეთმა „დე ვაარჰეიდმა" ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შინაარსი დაბეჭდა დიდი სათაურებით: „ატომური ბომბის ამერიკული საიდუმლოება დიდი ხანია არ არსებობს", „იმპერიალისტების ფეხქვეშ ნიადაგი ირყევა", „საბჭოთა კავშირი თანამშრომლობისა და მშვიდობის მტკიცე პოლიტიკას ახორციელებს".

კათოლიკური პარტიის ორგანომ გაზეთმა „ფოლკსკურანტმა" ვ. მ. მოლოტოვის მოხსენ ბის შინაარსს წაუმძღვარა შემდეგი სათაურ „ატომური ბომბის საიდუმლოება არ არს ბობს", „მძიმე მრეწველობა წარმატებითაა ა დგენილი", „მოსკოვი დიდი და მცირე ქვეყ ბის სუვერენიტეტის დამცველია". ჰოლანდი სხვა გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავ რომ საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია ხა გრძლივი მშვიდობით.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრის ყოფილი თანაშემწის როჯეს განცხადება

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლოს-ანჟელოსიდან იუწყება, იუსტიციის მინისტრის ყოფილი თანაშემწე როჯე პრესკონფერენციაზე ამტკიცებდა, რომ უახლოეს ათ დღეში, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპეციალური სესიის გახსნის წინ, დაა-პატიმრებენ მრავალ კომუნისტსა და კომუნის თა თანამგრძნობს, რათა გამოიწვიონ „ანტისა ჭოთა ისტერია". როჯემ განაცხადა, რომ და ტიმრების საბაბად გამოყენებულ იქნება პა პორტის მიღებისას ვითომდა გაკეთებული ყა ბი განცხადებანი.

ფოსტერისა და დენისის წერილი ტრუმენისადმი

ნიუ-იორკი, 10 ნოემბერი. (საქდესი). იუსტიციის მინისტრის ყოფილი თანაშემწის როჯეს განცხადების შემდეგ, რომ იუსტიციის სამინისტრო ამზადებს კომუნისტების მასობრივ დაპატიმრებას იმ მიზნით, რათა ისტერიული ვითარება შეჰქმნას კონგრესის სესიის გახსნის წინადღეს, რომელიც მიძღვნილია მარშალის გეგმის განხილვისადმი, ამერიკის კომპარტიის ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარემ ფოსტერმა და ამერიკის კომპარტიის ნაციონალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დენისმა ტრუმენს წერილი გაუგზავნეს. ამ წერილში ისინი მოითხოვენ ნიუ-იორკის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაშლას, აგრეთვე იუსტიციის მინისტრ კლარკის გადაყენებას „იმ შეთქმულებასთან დაკავშირებით, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რათა დააპატიმრონ კომუნისტები და სხვა პროგრესული მოღვაწენი".

წერილში ნათქვამია, რომ პრესა ავრცელებს ფანტასტიკურ ხმებს კომუნისტებზე და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და რომ როჯეს განცხადება „აღასტურებს ფა თოდ გავრცელებულ ეჭვებს იმის შესახებ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სიძ უქმნიან და გავლენას ახდენენ მასზე იმ მ დით, რათა აიძულონ კომუნისტებს გამოუტ ნონ საბრალდებო განაჩენი ცრუ და დაუსაბ თებელ ჩვენებათა საფუძველზე, როგორც ამ აშკარად აღიარებენ თვით ნაფიცი მსაჯულები". შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ იუსტიცი სამინისტრო, „როგორც სჩანს, ემზადება უგუ დოს კონსტიტუცია და დაუბრუნდეს უკანონ ბასა და აშკარა ტერორს". წერილში ნათქვამ აგრეთვე, რომ კომპარტიის წევრები, რომლებ ამერიკის პატრიოტები არიან, „დაიცავენ კონ ტიტუციურ უფლებებს და განაგრძობენ ბრძ ლას რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, რომ ლებიც აწყობენ ახლანდელ ლაშქრობას დემ კრატიის, თანასწორობისა და მშვიდობის წ ნააღმდეგ". წერილში გამოთქმულია რწმენ რომ ამერიკელი ხალხი წინააღმდეგობას გ უწევს რეაქციის ლაშქრობას.

ინგლისელები ადგენენ დასავლეთ გერმანიის ორგანიზაციის გეგმებს

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი. (საქდესი) როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ჰამბურგელი კორესპონდენტი იუწყება, სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ინგლისის ოფიციალური წარმომადგენლები საკონტროლო კომისიაში უკვე დიდი ხანია ადგენენ დასავლეთ გერმანიისათვის „მთავრობის სისტემის საფუძვლებს". როგორც ეს წყაროები აღნიშნავენ, ინგლისის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ გეგმების შემუშავება დაიწყო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესიის დამთავრებისთანავე მიმდინარე წლის აპრილში და ამჟამად მათი შემუშავება დასასრულს უახლოვდება.

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის გამოსვლა

ჯოკიაკარტა, (ბატავია), 10 ნოემბერი. (საქდესი). ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ ჯოკიაკარტის რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ჰოლანდიის ჯარები განაგრძობენ აგრესიას ინდონეზიელი ხალხის წინააღმდეგ, ყოველდღე სწვავენ ახალ სოფლებს და ღუპავენ მშვიდობიან მოქალაქეებს.

„უშიშროების საბჭომ, — განაცხადა სუკა ნომ,—უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა ბოლო მოეღოს ამ აგრესიას. 70-მილიონ ხალხს ყველა უფლება აქვს თავისუფლების მ საპოვებლად. ინდონეზიელი ხალხი განაგრძობ ბრძოლას სრული დამოუკიდებლობის მისაღწ ვად".

იტალიის პოლიციის პროვოკაციული მოქმედება

რომი, 10 ნოემბერი. (საქდესი). რომში 7 ნოემბერს მასობრივი მიტინგის შემდეგ, რომელიც მოწყობილი იყო სოციალისტური და კომუნისტური პარტიების მიერ ოქტომბრის რევოლუციის 30 წლისთავის აღსანიშნავად, პოლიციის მოტორიზებულმა პატრულებმა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გზა გადაუღობეს მიტინგის შინმიმავალ მონაწილეებს და რეზინის ხელკეტებით ერეკებოდნენ მათ.

სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელ სპეციალურ კომუნიკეში იუწყება, რომ პოლ ციის პროვოკაციული მოქმედების შედეგად მ ტინგის მონაწილეთა შორის ბევრი დაშავ მხოლოდ მიტინგის მონაწილეთა დისციპლინ და შეგნებულობის მეოხებით პოლიციის პრ ვოკაციას არ გამოუწვევია სერიოზული ინ დენტები.

ქეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

11 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორი ამხ. **სულეიმანი** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„ამხანაგ ჟდანოვის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ"**.

11 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** კონსულტაცია საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე (თხუთმეტდღიური მიმოხილვა).

11 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის საკითხებზე კონსულტაციას ჩაატარებს დოცენტი **ნ. ქადეიშვილი**.

11 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე კონსულტაციას ჩაატარებენ კონსულტანტები ამხ. **მირიანაშვილი** და ამხ. **ნოლიანისი**.

12 ნოემბერს, დილის 9 საათზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნებისათვის მოეწყობა სემინარი თემაზე: **„ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის მეოთხე ტომი"**. ლექტორი ამხ. **გეგეშიძე**.

გასწორება

ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების „დიდი ოქტო ბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლ თავის" პირველი კარის მესამე აბზაცში გაპა შეცდომა.

დაბეჭდილია:

„ჩვენ მიერ განვლილი გზა სამ პერიოდად უ და გაიყოს.

პირველი პერიოდი — საბჭოთა ხელისუფლ ბის გამარჯვების დროიდან მეორე **იმპერიალისტური** ომის დაწყებამდე".

უნდა იკითხებოდეს:

„ჩვენ მიერ განვლილი გზა სამ პერიოდ უნდა გაიყოს.

პირველი პერიოდი — საბჭოთა ხელისუფლ ბის გამარჯვების დროიდან მეორე **მსოფლიო** ომის დაწყებამდე".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

11 ნოემბერს: სომხური — „ვერაგობა და სიყვარული" (მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლი); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „წითელი ყელსახვევი".

კინოებში

11 ნოემბერს: რუსთაველის სახელობის და **„ოქტომბერი"** — „ბოჰემა"; **„ამირანი", „კომკავშირელი", „სპარტაკი"** და **26 კომისრის სახელობის** — „რომი ღია ქალაქია"; **„კოლმეურნე"** — „მზვერავის გმირობა".

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

11 ნოემბერს

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

17.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნაწყვეტი ი. ზურაბიშვილის წიგნიდან „ვანო სარაჯიშვილი". 18.20 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის წვერავას შესრულებით. 19.15 — მოცარტის № 41 სიმფონია. 20.30 — ნაწყვეტი ოპერიდან „ზაპოროჟელი დუნაის გაღმა". 20.45—დოცენტ ქ. აბზარიძის საუბარი „საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ". 21.05—საესტრადო მუსიკა. 21.20 — ხლებნიკოვის და მაიაკოვსკის ლექსები. 23.00 — საცეკვაო მუსიკის კონცერტი.

ნ. გაბუნია, ი. გიგოშვილი, ა. ხუჯაძე, ბ. ლეარსაბოვი, კ. ხოშტარია, თ. ქელეხაძ იუწყებიან გ. ცქიტიშვილის მამის **კონსტანტინე ოქროპირის-ძე ცქიტიშვილის** გარდაცვალებას.

შვილი ქენია, სიძე ვალიკო ორბელაძე შვილებით იუწყებიან **ალექსი სამსონის-ძე მჟავანაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე იური მარჯანიშვილი ოჯახით იუწყება **სოფიო ნიკოლოზის ასულ ლილიპაროვი-მარჯანიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-XI, 4½ ს. ენგელსის, 26.

ლიზა, მატა, ათინა, მიხეილ ჰყონიები, სამუელ ლომაძე, ნიკო ერქომაიშვილი ოჯახებით იუწყებიან **ბორის დიმიტრის-ძე შარაშენიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-XI, 4 ს. III ნადიკვარის, 9.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის თანამშრომლები იუწყებიან **კონსტანტინე ოქროპირის-ძე ცქიტიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-XI, 4 ს. ცხრა ძმის, 24.

თბილისის ექიმ სტომატოლოგთა საზოგადოების სექცია იუწყება ექიმ-პროთეზისტის **მიხეილ ფოტეს-ძე ნესტორენკოს** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-XI, 5 ს. ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის პროზექტურიდან, კამოს, 45.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—8-08-67, ხამდივნოსი—8-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის — 8-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—8-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—8-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—8-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—8-80-84, მორიგისა და გამომშვების — 8-81-65, გამომცემლობის — 8-51 81, სტამბის დირექტორის — 8-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000

უე 10922